

კავკასიონი
გიგანტი 1911

No 8



მთხუალისთათვის.—აგვისტო

1911

B. Tavberian



ქინაარსი.

I—ძილი.—ქანდაგება	დრიურისა.	1
II—ყანა,—ლექსი,	გაფა-ფშაველასი	3
III—ციცინათელა,—მ.	კლიმიაშვილისა	6
IV—მზის შვილი,—პ.	აბაშისპირელისა	13
V—ია,—ლექსი,	გ. ქუჩიშვილისა	31
VI—საუკეთესო განძი,—(თარგმანი)	ელენე ანტონოვასისა	17
VII—ერთი მამის სურათი,—(ივანგულიათ)	X-ისა	22
VIII—ორი მხატვარი,—შემდეგი (თარგმანი)	დ. ავალიანისა.	31
IX—ქანეთი და ჭინები —(ეტნოგრაფიული წერილი)	ი. უიზ-შემისა.	40
X—ზოვრს სიმღიღრე,—პორეცისა, (თარგმ.)	ნ. წერენავასი.	48
XI—ტროადის ომი,—ად.	შიქაბერიძისა	59
XII—ნარევი, ნ—ისა.		63
XIII—ანდაზები და რეპუსი		64



ବ୍ୟାଧିନୀ ପ୍ରକାଶକ

ବ୍ୟାଧିନୀ
ପ୍ରକାଶକ

୧୯୧୧ ଜାନୁଆରୀ ୩୦ ମାର୍ଚ୍ଚି ୨୦୧୦

ଅଗ୍ରନୀତିରେ ପ୍ରକାଶିତ.

୧୯୧୧ ମାର୍ଚ୍ଚି ୩୦, ୧୯୧୧ ମ.



ମାର୍ଚ୍ଚି ୩୦ — ଫିନିଙ୍ଗୋ ଏରିଯା.

ქინაარსი.




I—ძილი.—ქანდაკება ღრღურისა.	1
II—ყანა,—ღექსი, გაფა-ფშაველასი	3
III—ციკინათელა,—მ. კლიმიშვილისა	6
IV—მზის შვილი,—გ. აბაშისპირელისა	13
V—ია,—ღექსი, გ. ქუჩიშვილისა	31
VI—საუკეთესო განძი,—(თარგმანი) ელენე ანტონოვსკისა	17
VII—ერთი მამის სურათი,—(ფრანგულით) X-ისა	22
VIII—ორი მხატვარი,—შემდეგი (თარგმანი) დ. ავალიანისა.	31
IX—ჭანეთი და ჭანები — (ეტნოგრაფიული წერილი) ი. ეივ-შიძისა.	40
X—ზღვის სიმდაღრე,—პარეცკისა, (თარგმ.) ნ. წუწუნავასი.	48
XI—ტროალის ომი,—ალ. შიქაბერიძისა.	59
XII—ნარევი, ნ - ისა.	63
XIII—ანდაზები და რეპუსი	64





ԱՐԴ.

Ս Տ Բ Ա.




անձ, Ի՞սկ յանձ մուսպա!
հռցարկ թլզա, օսք լըլազգա;
մորթպալո դոլոս ճամոտա,
ոյիրոս ոյերազա յըլազգա.
չըշոլոնձա՛նո դժիգրովուն,
դոյք զըրազոն ստյլազգա.
Շուգուն ձարոնոս ճամգալոս,
ոմոս եցունոս եմոտ մլյրասա,—
սյուրուանտ ռշանոս
դուն լու ձարարաս, պայլասա—

ပုံပုံလျှော်စ် မာပုံပုံလျှော်ချော်
 და დამမာრော်သွေ့လျှော် မြှုပ်နည်းလျှော်စ်;
 ဖွေ့လျှော် စဲ စေလျှော် အာဖြူနှင့် အာဖြူနှင့်၊
 အျော်ရှု ဝမ်းဆာန် ပုံသွော်လျှော်စ်.
 အဖွေ့လျှော် ဖွောရ်နှင့် დაလွှာရ်လျှော်စ်
 မာမျှလျှော် အာဖြူနှင့် အာဖြူနှင့်:
 ဂုဏ် အတစ်ရွေ့ ပုံဖွေ့လျှော်၊
 ရှာဖုံ დაတွေ့ဆိုလှ၊ ဝမ်းဆာ.
 မာကုန် ရွှေ အဖွေ့လျှော် အာ ကြိုးကုန်
 နှင့် ပုံပုံ အိပ် အာ အိပ်:
 အိုလှ ကျိုးရှု အာဖြူနှင့်၊ —
 မြောက်ပုံ ဒာရွှေပုံပုံရှုလှ၊
 လာမျာ დღေ့လ გာဇာအိပ်ပါး၊
 დღေ့လ დာတွေ့မှုပါ မြောက်မိတာ၊
 နှင့် မြောက်မှုပါ ပုံပုံလျှော်မြို့
 မြောက်မှုပါ အမိတာ.
 မြောက်မှုပါ အာ ဂာကျိုး၊ အာ ကျိုးကုန်
 ဂာရွေ့ကြိုးနှင့်၊ ဂာအိပ်ကြိုးနှင့်၊
 စာကျိုးရှု အာ დွေ့လျှော်လှ
 နာမွာလှ დာတွေ့ရှုလျှော်ပါး.
 မာရွေ့ရှု အာဖြူနှင့် အာရွေ့ရှု
 အျော်ရှု ပုံပုံလျှော် ပုံပုံလျှော်?
 အာရွေ့ရှု အာ စာသွေ့လျှော် ပုံပုံလျှော်
 ပုံပုံလျှော် အာ စာသွေ့လျှော် ပုံပုံလျှော်:
 မြှုပ်နည်းလျှော် အိ ပုံပုံလျှော်ပါး၊ လာလွှာလျှော်၊
 ဖွိုင်ရာလ ဖွိုင်ရာလ တွေ့လျှော်ပါး;
 အိသွေ့ အိသွေ့ အိသွေ့ အိသွေ့
 ဖွိုင်ရာလ အိသွေ့ အိသွေ့ အိသွေ့.

Երթազո օմատ, մանամլց
 յանա մոնղոլ՛՛ Ֆկազուսա!..
 և Շեա՛լիքեծ գրոնցըլտա,
 Ֆշրուշ Շինա օյվո, Ֆկալուրա?!

մոմինու զերաս դապլցեծ,
 զեր լաօնածաց տցալուտա...
 հռոս մոռմկցեծ, մա՛ժին-կո
 օյւրցմլցեծատ տցալուա,
 օյսրցեծիան օյնուան,
 ֆայֆու՛՛ շեծատ ցալուա...
 նածչա՛՛ մլցրու մարտուրա
 տաց-՛ռոսակցւաց կալուա...

Ցաշա-՛՛ մազելա.





ციცინათელა.

(სურათი.—უძღვნი ე—ნეს)



აფხულის უმთვარო საღამო იყო, ახლად შებინდებული. სოფელი ჯერ არ მიბინარებულიყო. კარმილამოებზე ჯერ კიდევ ხალხი ირეოდა, ხოლო აქა-იქ სანათის შუქი მოსიანდა. სოფლის განაპირას, ფერდობის თავ-

ში, ერთ სახლის წინ, ბელლის გვერდით გრძელ კუნძხე ბლომად ხალხი ისხდა და დღიურ ჭირ-ვარამისას ლაპარაკობდნენ. აქ იყვნენ შეგროვილნი სამიოდ ოთხი ოჯახის ახლო მეზობლების ქალ რძალი და მამაკაცები.

იქავე, მათგან ცოტა მოშორებით, ფერდობის პირზე ბავშვების ქრიამული იდგა. ბავშვები კეკე-მალულობასა თამაშობდნენ და თავიანთი წერიალა ხმებით, სიცილ-ხარხარით ავსებდნენ არე-მარეს. პატარა ელენე ბავშვების თამაშობაში არ ერია და მარტოკა დახტუნაობდა თავის თავად, ხან ერთ ჯგუფს შეუერთებოდა ბავშვებისას, ხან მეორეს.

— ელენე, ელენე, შეხედე, რა ლამაზი ციცინათელა მიფრინავს შენ ზურგთ-უკან! — დაუყვირა თამაშობაში გართულმა საბედამ, რომელმაც პირველად შეასწრო თვალი ციცინათელას, და ისევ ჩაერია თამაშობაში.



ელენეს საშინლად უყვარდა ციცინათელები და მა შეასწორო დევნა. საბედას ხმაზე მარდად შემოტრიალდა და რა შეასწორო თვალი ღამის წყვდიაღში მოელვარე მწერს, გამოედევნა უკან. ციცინათელა ფერდობზე დაეშვა; ხან აქ გაიელვებდა და ხან იქ, თითქოს განგებ ბავშვის გატყუება უნდაო. ელენე ხტუნაობით მისდევდა უკან. სადაც მწერი გაიელვებდა, ისიც იქით გაექანებოდა.

ამასობაში ბავშვმა შეუმჩნევლად ჩაირბინა ფერდობი, დაშორდა მოთამაშე ტოლ-ამხანაგებს. ძირს, რუს პირზე, ბუჩქებში ბევრი ციცინათელები ირეოდნენ. ახლა-კი ბავშვს ყველაფერი გადაავიწყდა.

ზემოდ ბავშვები თამაშობას მორჩნენ. მათი ხმა აღარ ისმოდა. უფროსები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ და ბავშვებსაც დაუძახეს.

ელენე ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩა. იმისა დედა გართული იყო მუსაიფში თავის რძალთან. ელენე ბავშვებში ეგულებოდა და იმედი ჰქონდა—როცა ბავშვს ძილი მოერეოდა, თითონ მონახავდა დედას. ელენე-კი ამ დროს გაცხარებული დახდევდა ციცინათელებს. გადახტა რუზე, გაირბინა დაბალ ბუჩქებით დაფარული მინდორი და ჭალის პირს დატრიალებდა. ბავშვმა მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ ჭალის პირს იყო, როცა ჭალაში რაღამაც დაიფაჩუნა.

ახლა-კი ბავშვმა ციცინათელების დევნას თავი დაანება. იმის ყურადღება იმ ადგილმა მიიპყრო, საიდანაც ფაჩა-ფუჩი მოესმა. ფაჩა-ფუჩზე ეტყობოდა, რომ ჭალაში რაღაც იყო დანაპირისკენ მოდიოდა. ელენე შეკრთა; გულში შიშმა გაუელვა; გაახსენდა ალი და თმა მაღლა წაუვიდა. უნდოდა შინისაკენ წამოსულიყო, მაგრამ ვეღარ ახერხებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ფაჩა-ფუჩი შესწყდა და ჭალიდან გამოვიდა ვილაც შავ-კაბა დედაკაცი. ელენე დააცემულდა და ბინდ-ბუნდში გაარჩია მეზობლიანთ ბებერი დიდედა მაგდანი.

შესრულები
შემუშავისათვის

მაგრამ ბავშვი გულს არ არწმუნებდა, თვალებში ალი ელას-
დებოდა და არა სჯეროდა, რომ ჭალიდან გამოსული დედაკა-
ცი დიდება მაგდანი იყო. ელენეს მაინც სიმხნევე მოემატა,
გონება მოიკრიბა და კალთაში ჩუმად, შეუმჩნევლად ქვების
კრეფა დაიწყო. თან იმ ადგილს თვალს არ აშორებდა, სადაც
შავ-კაბა დედაკაცი იდგა. ბავშვმა შენიშნა, რომ დედაკაციც
თავის მხრით დაშტერებით უყურებდა, ყოველ მის მოძრაო-
ბას თვალს ადევნებდა და ამან გაუორკეცა ეჭვები. ბოლოს
მაინც იმდენად გამხნევდა, რომ გამოლაპარაკებაც-კი მოა-
ხერხა.

— დიდება, რას აკეთებო აქ ამ დროსა? — დაეკითხა ელე-
ნე მოკრძალებულის ხმით.

— ქაა, შვილო, ლოლა, შენა ხარ? რამ ჩამოგიყვანა ამ
დროს აქა? რომ იცოდე, ხმა დავკარგეთ და იმას დავეძებ!
ელენემ ახლა ხმაც იცნო დიდებასი, მაგრამ ეჭვები მაინც
თავს არ ანებებდა. ახლა-კი იმოდენად გამხნევდა, რომ უკან
დახევის გეგმა შეიმუშავა. პირი ქალისაკენა ჰქონდა და თვალს
არ აცილებდა იმ ადგილს, სადაც დიდება მაგდანი იდგა.
კალთაში ჰქონდა მოგროვილი და ხელი მომარჯვებული
სასროლად: მზად იყო თავის დასაცავად, თუ ვინიცობაა დი-
დება მისკენ წამოვიდოდა და რამეს დააპირებდა. თან ფეხ-
აკრეფით, ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად ყურთ-უკუღმა
უკან-უკან იხევდა. სახლისაკენ ბილიკი კარგად იცოდა და
თავის იმედი ჰქონდა, ბუჩქებს არ გადაწყვდებოდა. ელენემ
ახლა ლოცვებიც მოიგონა. პირჯვარი გადიწერა და ლოცვები
სთვა.

ამნაირად იხევდა ელენე უკან და მტერს ზურგს არ უჩ-
ვენებდა.


დიდება მაგდანაც ერთ ალაგას იყო გაჩერებული. ამასაც
რაღაც ეჭვები დაებადა. თუმცა იმანაც იცნო ხმაზე პატარა
ელენე, მაგრამ არა სჯეროდა, თუ ბავშვი ასეთ ხშირ-ბინდში
გაბედავდა ჭალაში ჩამოსვლას მარტოდ-მარტო. ბავშვის დანა-

ხვაზე იმასაც ალი გაახსენდა. შეეშინდა და მოჰყვა ლოცვების მოვალეობა. მამეულთა და დედეულთა სალოცავები: სამება ოქტომბერის კარიანი, ლომისა პატიოსანი, წმ. გიორგი სარკისა, გერისა და კიდევ ბევრი სხვა. ლოცვულობდა და გაცხარებული პირჯვარს იწერდა მოხუცებული, თანაც ფიქრობდა — როგორ მოქცეულიყო, თუ ალი აუძღვებოდა და თავს არ დაანებებდა. გადასწყვიტა შესძიგილავებოდა, თუ ალი წაეტანებოდა. ჩეკარა შენიშნა, რომ მოჩვენება უკან-უკან იხევს. დიდედა მაგდანი დარწმუნდა, რომ იმისმა ლოცვებმა გასჭრა. უმატა პირჯვრის წერას და ელოდა, როდის გაჭრებოდა სულ მთლად მოჩვენება.

ამასობაში ელენე რუს პირამდე მივიდა. აქ კი უცბად მობრუნდა, ერთი სკუპით გადახტა რუზე და მოუსვა სახლისაკენ. თვალის დახამხამებაზე აირბინა ფერდობი და, რა დაინახა სანთლის შუქი, ერთი ლაზათიანად შეიკუნტრუშა სიხარულით. აქ კი ოდნავ შეჩერდა, ამოიქაქანა და ნელის ნაბიჯით გასწია სახლისაკენ. მათ სახლში შუქი არა სჩანდა. ბავშვიც გაემგზავრა ბელლისაკენ, საღაც დედა ეგულებოდა. ორთავე რძლები ისევ ბელელთან ისხდნენ და რაღაცა საიდუმლო ლაპარაკში იყვნენ გართულები. ბავშვმა მიირბინა დედასთან, უჩუმრად კალთაში ჩაუწვა და თვალები დახუჭა. თავი მოიმძინარა, რადგანაც ეშინოდა, დედა არ გაჯავრდეს, ამდენ ხანს რად დაიგვიანეო.

დედამ ჩახედა ბავშვს თვალებში და, რა დაინახა, რომ ელენე თვალებ-დახუჭული იწვა, გაიფიქრა, ალბად ეძინებაო, სახლში წასვლა დააპირა, მოკლედ მოსჭრა ლაპარაკი, გამოეთხოვა რძალს და გაეშურა სახლისაკენ ბავშვის დასაძინებლად. ელენეს დედის კალთა ხელით ეჭირა და ისე მიტუხცუ-ხებდა შინისკენ.

როცა ელენე ლოგინში ჩაწვა და დედას ძუძუებში თავი ჩაუყო, ახლა-კი ვეღარ მოითმინა და უამბო თავისი თავ-გადა-სავალი.



— უწინამც დღე დაელევა, შვილო, დედა-შენს უარის შენ არაფერი დაგემართოს! წამოიძახა შეშინებულის ხმით ელენეს დედამ, როცა ბავშვმა დაათავა ლაპარაკი და შვილს პირჯვარი გადასწერა.

— ჩვენთანა არს ღმერთი—მამა, ძე და სული წმინდა! — დაიწყო ქვრივმა ნინომ ლოცვები და პირჯვრის წერა: — ღვთის მშობელო პატიოსანო, შენა ჰავარავდე ჩემ ელენეს ყოველი-სავე განსაცდელისაგან.

აქ შეშინებულმა დედამ კიდევ პირჯვარი გამოჰსახა ბავ-შვს და შემდეგ ლოცვა ათქმევინა.

— დავწვები—დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი თავითა დამესვენება. ჯვარი მწყალობს ჯვარ ცმული, ჯვარი პატიოსანი, მწყალობს წმიდა გიორგი, ვერას მაცდენს მაცდური. მე ქრისტესი ვარ, ქრისტე ჩემია, ქრისტეს ხელით დაბეჭდილი ვარ. სასოება ჩემდა მამა, შესაველებლად ჩემდა ძე, მფარველი ჩემდა სული წმიდა ღმერთი, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი პატარა ელე-ნესა.

ჩაარაკრაკა თავის წკრიალა ხმით ელენემ და თავისი პა-ტარა ფუნჩულა თითებით პირჯვარი გადაიწერა. აქ დედამ ჯიგრიანად ჩაჰავა თავისი შვილი და ძუძუებში ჩაიკრა. ახლა-კი ელენე მთლად დამშვიდდა; ძილი წამოეპარა და, ცო-ტა ხნის შემდეგ, ბავშვმა მშვიდი ფშვინვა ამოუშვა.

ელენეს დედას-კი ძილი გაუკრთა. ძალიან უყვარდა თა-ვისი შვილი; ყმაწვილმა ქალმა მთელი თავისი სიცოცხლე ამ ერთად-ერთი ბავშვის გამოზრდას ანაცვალა. თავისი ქვრივ-ოხრობის, ტანჯვა-წვალების, ყოველივე დარღის გამქარვებ-ლად ეს ერთად ერთი იმედი შერჩენოდა და ვერ წარმოედგი-ნა, თუ ქვეყნად მოიპოვებოდა ისეთი ძალა, რომელიც მის მძლავრ სიყვარულის საგანს რაიმე ვნებას მოუტანდა. მოაგონ-და თავისი ყმაწვილ-ქალობა, ქმარი, მისი ავადმყოფობა, სი-

კვდილი, მის შემდეგ სიკვდილი წყვილი ქალ-ვაჟისა. ლოტური
გაიწურა საცოდავი დედაკაცი ყველა ამაების გახსენებაზე. გა-
ახსენდა თავისი ახალი სიქვრივე, გაუყრელ ოჯახში ცხოვრე-
ბა; მერე გაყრა; ჩიგვრა მონაწილეების მხრივ, ათასი ტანჯვა
და ვაი-ვაგლახი; თვალ-წინ დაეხატა სრული სააქაო ჯოჯოხე-
თი და ყველა ეს ტანჯვა აატანინა შვილის სიყვარულმა. პა-
ტარა ელენე მართლაც ლამაზი და მოხდენილი გოგონა იზრ-
დებოდა: კარგი ხასიათებისა, ყველას საყვარელი. შვილის მო-
ვლა-ზრუნვაში ავიწყდებოდა ნინოს თავისი ქვრივ-ოხრობა,
წარსული ტანჯული ცხოვრება. შეჰყურებდა თავის გოგონას
და იმის გულში იღვიძებდა იმედი უკეთესის მომავალისა. ფი-
ქრებში გართული დედა წამ-და-უწუმ ჩაპედავდა სახეში მძი-
ნარე ბავშვს, სიყვარულის ჯიგარი მოუვლიდა, დაეკონებოდა
საკოცნელად, მაგრამ შიშით—არ გავაღვიძოო, საკოცნელად
მომზადებულ ტუჩებს ისევ უკან წამოიღებდა.

ბოლოს ფიქრით მოქანცულ დედასაც ჩაეძინა. მშვიდად
ეძინათ დედა-შვილს თავიანთ ობილ ჭერ-ჭვეშ და მფარველი
ანგელოზი დასტრიიალებდა ამ უდროოდ დაობლებულ ოჯახს.

დიდედა მაგდანი კარგა ხანს ტრიალებდა ჭალის პირებში
და შეჰყედრიდა უფალს დაეხსნა მაცდურის ხელიდან. მხოლოდ
მაშინ გაპქრა მოჩვენება ღამის წყვდიადში და მოხუცებულმა
სახლის გზა მონახა. ფეხ-აკრეფით მიაბიჯებდა ბილიკზე და
მხურვალედ ლოცულობდა. როცა დიდედა მაგდანი სახლში
შევიდა და სანათს მიუახლოვდა, იმისმა რძალმა მუხლებში ხე-
ლი ჩაიკრა და წამოიძახა.

— უი, დამიღვა თვალები! დედამთილო, ეგ რა დაგმარ-
თვიათ? რა ფერი გადგაო სახეზე?

მოხუცებულმა მაშინვე ვერ მისცა პასუხი, ტახტზე ჩამო-
ჯდა, ბუხრის გვერდიდან ლიტრა აიღო, მოიყუდა, რამდენიმე
ყლუბი დალია, გული მოიბრუნა და როცა ცოტა თავისუფ-
ლად ამოისუნთქა, მოჰყვა თავის თავ-გადასავალის ამბავს. მთე-

ლი ოჯახი სმენად იყო გადაქცეული და გაფაციცებით შეჰყურებდნენ მოლაპარაკეს.


უფროსები წამ-და-უწუმ პირჯვარს იწერდნენ და „ჩვენთან არს ღმერთი!“ გაიძახოდნენ; პატარეები-კი გადიდებულის თვალებით შესცეკეროდნენ მოლაპარაკეს.

მოხუცმა ლაპარაკი გაათავა; ამას მოჰყვა ახლა სხვა ამისთანავე ამბები და შემთხვევა. ბოლოს მუშაობით დამაშვრალ ადამიანებს ძილი წამოეპარა; ლაპარაკს ხშირად ერთოდა მთქნარება და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ. ბავშვებზე დიღი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სალამომ: არა ერთს მათგანს ეზმანა ძილში აღი და სხვა ეშმაკეულობა.

მეორე დღეს ნამდვილი გამომეუღლდა. ელენეს დედა მეტად გახარებული იყო, რომ იმის პატარა შვილს ალი-კი არ ასძლოლია, დიდედა მაგდანი უნახავს. დიდედა მაგდანს-კი, ცოტა არ იყოს; ერცხვინებოდა, რომ პატარა ბავშვი ალად ჩასთვალია, და ყოველთვის, როცა დაცინვით მოიგონებდნენ ხოლმე ამ შემთხვევას, დარცხვენით უპასუხებდა:

— ქაა, რა მომაგონებდა, თუ ისეთ ხშირ ბინდში პატარა ელენე გაბედავდა ჭალაში ჩამოსვლა!

ჯ. კლიმიაშვილი.



გზის უვილი.

(ეძღვნი მგრასანს გაშა ფშაველას).



ეტავი შენ, ჩენის — უმზირა¹), ნეტავი
შენ!.. — გულ-ამოსკვნით წამჩურჩუ-
ლებს ხოლმე ჩემ მახლობლად ამო-
სულიცობოლა²).

— შენ მუდამ მზეს უმზერ... მე-
კი ამ უხეირო ჩირვებმა დამჩრდილეს. მზეც წამართვეს,
შენ კი ნამდვილი მზის შვილი ხარ, მზის შვილი...

მე, როცა პატარა ვიყავ, მიკვირდა კიდეც, რად მეძახო-
და ობოლა მზის შვილს!

ერთხელ, როცა მახლობლად მოჩუხჩუხე წყარო ადიდა
და აქოჩრილი, ვერცხლებრ ფაფარ-აშლილი, მუქარით დაეშვა-
ძირს, მის ტალღებში ჩემი სახე გავარჩიე. მართლაც, ობო-
ლას თქმისა არ იყოს, პირი მზეს მიგავდა.

აკი იმიტომაც ასე მიყვარს მზე...

¹) ამ მცენარეს ზოგი მზე-უჭვრიტას უწოდებს.

²) ბალახია.

განთიადისას, როს დილის მარგალიტ ნამით მოეკეთებები, მოუთმენლად გავუურებ ვარდის ფრად მოქარგულ ცის კიდეს...

როგორც-კი სხივთა შარავანდედი ოქროს ჯიღას დააღ-
გამს მყინვარის სპეტაკ შუბლს, თითქოს მთებს მეუფედ აყე-
ნებს, მაშინ მეც ვხარობ...

ცელქი ნიავი ამაღდ მეალერსება სახეზე, უნდა მზეს თვა-
ლი ავარიდო, დასავლეთისკენ გავიხედო... მსუბუქ ფრთებით
თვალებს მიკოცნის...

მაგრამ მზეზე უკეთესს სხვას რას ვნახავ... მთებსაც ძლიერ
უყვართ მზე... მუდამ დალვრემილ, დაფიქრიანებულ მთებსაც-
კი ღიმი შეუთამაშებთ ხოლმე სახეზე, როცა მზის ნაზი სხივთა
ლეჩაჭი გულზე გადაეფინება...

მუდამ ნაღვლიანად თავ-ჩალუნული მთები ცისკრისას იშ-
მუშებიან, სიხარულით ცას ეწევიან.

ზამთარში, როცა მზეს შავ ღრუბლების ლაშქარი დაპუ-
რავს... მე მაშინ მიწის გულში მძინავს!..

ჯერ კიდევ შემოდგომაზე ჩავეხუტები დედამიწას გულში.
აი, ჩემს მახლობლად მდგარ წიფელის რომ სურო შემოჰვე-
ვია, ის ზამთარ-ზაფხულ სცოცხლობს... მან არ იცის, რა
არის სიკვდილი, ან ძილი. სწორედ მაგან მიამბო:

მთები შემოდგომაზე თურმე ნისლით იბურებიან—ფიქრს
ეძლევიან... თავ-პირი ჩამოსტირით. ბოლოს თეთრ სუდარებ-
ში გაეხვევიან, თითქოს დაიხოცნენო... მღუმარედ დგანან მა-
ღალი მთები და უცდიან, სანამ გაზაფხული ააეღდერებს ოქროს
ქნარს, რომელზედაც მზის სხივები სიმებათაა გაბმული...

როგორც კი შემოესმებათ ოქროს ქნარის ხმა, მთებს სი-
ხარულით გული ევსებათ. ბევრს-კი ჰგონია, მთებს არც არაფე-
რი უხარიანთ და არც არაფერი აწუხებთო...

მაგრამ ვინ იცის, გული როგორ უტოკავთ!.. წამს გლო-
ვის სუდარას შემოიფხრეწენ, სიხარულის ცრემლი ნიაღვარად

წამოვა... და ამიტომაც ასე გაუხარებელი მოჰქუმს მთის შეიაფი
რო... თითქოს ზამთარს ემუქრება...

მეც ამ ხმაზე ზამთრის ძილიდან ვერკვევი. მიწის გული-
დან მზისკენ ვისწრაფი...

განა გასაკვირველია, რომ მზე მიყვარდეს?!.. აბა, შემო-
მხედეთ, თუ მზეს არ მიმიგავს სახე! ვენაცვალე დედა ჩემს...
სულ იმას უყურებ... მაგრამ როგორც-კი შავ-ფრთიანი ქარი
მთებს იქით ჩასაფრებულ ღრუბლებს გადმოლალავს, ისინიც
თითქო საომრად ემზადებიან, რუხ ფრთებს გაშლიან და ისე
წამოიშლებიან... თითქოს ვიღაცამ ფრინველების გუნდი და-
აფრთხოვთ. მზეს შემოეხვევიან. მაშინ რომ მე შემომხედოთ,
ჩემ თვალზე მთრთოლვარე დილის ცვარს შეამჩნევთ: მეც
ვსტირი.


ნუ გეშინიან, მზეს-უმზირა, ნუ! ღრუბლებს ისევ წალე-
კავს ქარი, ისევ ნახავ ცის ლაქვარდზე გაშლილ მზის ალამს...
მეჩურჩულება ბებერი წიფელი. მეც ვმხნევდები... საღამო უამს,
როცა მზე ჩასასვლელად იბარგება, აღმოსავლეთით გაწოლი-
ლი მთები ერთმანეთზე შესდგებიან... რომ კიდევ მოჰკრან
თვალი ჩამავალ მზეს...

მე დასავლეთს გავცემი; ჩამავალ მნათობს თვალს ვაყო-
ლებ. თან სისინა ნიავის პირით უთვლი: „არ დამივიწყო, დე-
დი! გული მოუთმენლად მიღლავს... სიკვდილამდის ცისკრის
მოლოდინში ვიქნები .. იცოდე“...

კ. აბაშისპირელი.



II.



ამი მიჰქოდა... დღის მნათობს
მგზავრობა მოსწყინებოდა,
მოლლილი ვაჟკაცუვითა
მთის დაღმა ესვენებოდა,
უკანასკნელი სხივები
მწვერვალებს ეფინებოდა.

ნისლის მანდილი მოესხა
გადახსნილ ცას გულ-ლიასა,
ბუჩქ-ქვეშ ობოლ ცრემლს აფრქვევდა
ობლადვე მოსულ იასა...

მაგრამ— ამაოდ... გულის ზადს
ვეღარ ჰყურნავდა, ლპებოდა;
შავი სიკვდილის ლოდინში
სინაზე ეკარგებოდა.
წელი სწყდებოდა, წვებოდა,
კვენესოდა, ეტირებოდა, —
მიწის წიაღში შობილი
მიწასვე ებარებოდა.

გ. ქუჩიშვილი.





საუკეთესო განძი.



როხელ ერთმა ვარსკვლავმა დანაშაული მოი-
შედა. ეს ვარსკვლავი ზოგიერთ თავ-ნება ბავშვს
ჰვავდა—და თავის სურვილს უფრო ხალისიანად ას-
რულებდა, ვიდრე თავის უფროსის მთვარისას.

მთვარემ სასტიკად შექედა დამნაშავეს და უთ-
ხრა, შეუძლებელია შენი დარჩენა დებთან და ჩემს
ლაქვარდოვან ცაში, სადაც მხოლოდ გამგონი და
მორჩილი ვარსკვლავები უნდა იყვნენო. განდევნა
და სამყოფელად გაუგონარ და ურჩ სულდგმულებით სავსე
დედა-მიწა დაუნიშნა.

მწარედ ატირდა ვარსკვლივი; სტიროდნენ მისი დებიც:
ებრალებოდათ საკოდავი.

შეებრალა მთვარესაც და უთხრა: .

— წადი და დანაშაული გეპატიება, როდესაც იპოვნი
დედამიწაზედ საუკეთესო განძს.

იმდით გამხნევებული განდევნილი ვარსკვლავი დაშვა
დედამიწაზედ. შეწუხებული ვარსკვლავი შეჩერდა ლაქვარდ
ზღვის პირას, რომელიც უკრით და განუსაზღვრელის სივრცით
დაკარგულ სამშობლო ცას მოაგონებდა.

ნაპირზე უცბად დაინახა სადაფი: ის ნელ-ნელა იხსნებოდა
მთვარის ნაზ სხივებ ქვეშ. შიგ ბრწყინავდა მშვენიერი მარგა-
ლიტი და მკრთალად აციმციმებდა ცით მოფენილ შუქს.

ვარსკვლავმა სიხარულით აიტაცა მარგალიტი, აფრიკაში და აღტაცებით დაიჩოქა მთვარის წინაშე. დარწმუნებული იყო, რომ შეცოდებას მომიტევებსო.

ღრუბელმა გადურბინა მთვარეს შუბლზე.

— მარგალიტი ძეირფასია, უთხრა მან, — მაგრამ სიმდიდრე საუკეთესო საუნჯე არ არის ქვეყანაზედ. უმცირესნი სარგებლობენ მით, უმრავლესნი იტანჯებიან და შურთ, რაღან ვერ მიუღწევიათ მისთვის. ხშირად ჰბადავს იგი ბიწიერებას.

შეწუხებულმა ვარსკვლავმა ხელიდგან გააგდო მარგალიტი. უსიტყვოდ, თავ-ჩაღუნული დაეშვა ისევ დედამიწაზედ.

პირდაპირ შფოთიან ქალაქში მოხვდა ერთ გაჩირალდნებულ დარბაზში.

საუკეთესო საზოგადოება შეყრილიყო სახლთან; სავსე იყო ყვავილებით და მხიარულებით. უძვირფასეს ტანთ-საცმელში გამოწყობილი მთელის ქალაქის ლამაზი ქალები აქ იყვნენ შეყრილნი.

ჩვენის ვარსკვლავის ყურადღება ერთმა მიიქცია.

ბუნებას არასოდეს არ შეუქმნია ამაზედ უმშვენიერესი არსება. ის იყო ტანადი, როგორც გედი; მშვენიერი ხუჭუჭი თმები ეფინა ბროლივით თეთრ მხრებზედ; თვალ-წარმტაცი თვალები საოცრად გამოიყურებოდნენ გრძელ წამწამებ ქვეშ.

ვარსკვლავი მთლად ათრთოლდა: არასოდეს არ ენახა ამისთანა მშვენიერება. მოიტაცა მშვენიერის სახის გამოხატულება სარკეში და გაფრინდა ცისკენ.

ისევ მოიღრუბლა მთვარე. იმედიანად, მაგრამ კანკალით მიუახლოვდა ვარსკვლავი.

— სილამაზე წარმავალია, უნიშვნელო,—უთხრა სასტიკად მთვარემ,—გამოიწვევს მცირედს კეთილ გრძნობას, აზვიადებინებს თავს იმათ, ვისაც აქვს ეს განძი, შურით ავსებს იმათ, ვინც მოკლებულია მაგ სიკეთეს და ხშირად ჰლუპავს ადამიანის ბედნიერებას.

ატირებული დაბრუნდა ვარსკვლავი დედა-მიწაზედ, ჟერმანი
წუხებული დაძრწოდა: არ იცოდა სად მოეძებნა საუკეთესო
განძი.

გათენდა დილა.

ყმაწვილმა ქალმა ასწია ფარდა. ოთახში სახურავ ქვეშ
მის შვილებს, მაგრად ჩახუტულებს, ეძინათ. დედა მივიღა,
ხელი გადაუსვა, ლიმილით დახედა, ნაზად დაპკოცნა და...

ვარსკვლავი აღარ დააცქერდა; მოიტაცა ის ტკბილი კო-
ცნა და გაეშურა მიმქრალ მთვარესთან.

დალონებულმა მთვარემ ალერსით შეხედა ვარსკვლავს და
თავი გაიქნია.

— ჩემო საბრალო ბავშვო, — უთხრა მან, — ვატყობ, ძნე-
ლია საუკეთესო განძის პოვნა დედამიწაზედ. ოჯახის ბეღნიე-
რება დიდად ძვირფასია, მაგრამ ეს ბეღნიერება ლირსეულთა
ხვედრი არ არის.

უიმედოთ დაეცა უბედური ვარსკვლავი დაბურულ ტყე-
ში და მთელი დღე სტიროდა. იმედი დაპკარგა საუკეთესო
განძის პოვნისა.

სალამო იყო. ტყეში გაისმა მხიარული კიუინი და ხმაუ-
რობა.

პატარა ბიჭების გროვა გამოცვივდა ტყიდგან. ბავშვები
დასხლნენ კორდზედ დასასვენებლად.

ბავშვები სხვა-და-სხვა თამაშობით ერთობოდნენ და ისე-
თი საყვარელი სანახავები იყვნენ თავიანთი სიმკვირცელით,
რომ ვარსკვლავს დაავიწყდა თავისი მწუხარება და ყურადღე-
ბით ადევნებდა მათ თვალს.

ერთმა იმათგანმა მეტი ყურადღება მიიპყრო. არც უვე-
ლაზედ ლამაზი იყო, არც ყველაზედ მარჯვე. მთელს სახეზედ
კრილობისაგან დაჩნდებული ნიშანი ამახინჯებდა ბავშვს. მაგრამ
სახის მეტყველება ისეთი ნაზი ჰქონდა, თვალები ისეთის ალე-
რსით უბრწყინავდა, რომ ჩვენმა ვარსკვლავმა თვალი ვეღარ
მოაშორა.



ଶୁପ୍ରଦାଦ କାର୍ତ୍ତାରୀ ଦୀପ୍ତେବି ବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ ଚାମଳନ୍ଦେବ ହରା ଫୁଲମୁଖ
ମିଠାବନ୍ଦୁନ୍ଦେବ ବ୍ସ୍ଵା-ଦା-ବ୍ସ୍ଵା ମଥାର୍ଗେ; ଦାର୍କା ମଥାଲାଦ ବୀ, ବୀ କ୍ରେ-
ତିଲୀ ଦାଵଶ୍ଵା, ଦା ଗାନ୍ଧେବି ବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ ପ୍ରାଣପ୍ରାଣମୁଖୀ

ତ୍ୟବୀ କିରାଦ ନିଜା କାର୍ତ୍ତାରୀ ଦା ଶୁଷ୍ଵେଲ୍ଲେବେଳୀ ତାନିବ କ୍ରାପି;
ମିବ ବ୍ସ୍ଵାନ୍ଦେବ ନିବାର୍ଯ୍ୟବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ ଲକ୍ଷମା ବ୍ସ୍ଵାନ୍ଦେବ; ପ୍ରାଣପ୍ରାଣମୁଖୀ ମି-
ବୀ ବ୍ସ୍ଵାନ୍ଦେବ କିରାଦାଦେବଦା ହାର୍ଦେବନିଲ ବ୍ସ୍ଵାନ୍ଦେବାବ. ତନ୍ତ୍ରଶ୍ଵେଦ
ଦୋଷରନ୍ଦିତବୀଲୀ, କିମ୍ବାବ ମଥାଲାଦ ଦା ମଥାତର୍ମାଦ ଦାକ୍ଷରିଲ
ଜ୍ୟେଷ୍ଠ, ରାମଲିଙ୍ଗବାନାବ ବୀବୀଲାଦ ବୀଲାଦ.

ନିମ ମଥାର୍ଗେ ଗାନ୍ଧେବ ବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ ଅବାଶାକ୍ଷି ବ୍ୟାମ୍ଭ, ରାମଲାଦ ଗାମା ମରାଵା-
ଲା ବ୍ସ୍ଵାନ୍ଦେବ ନିରାଞ୍ଜନବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ. ପ୍ରାଣପ୍ରାଣମୁଖୀ ମାଗରାମ ଅକ୍ଷମମଦ୍ରେ
ବ୍ୟରାଗିନ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ.

କ୍ରେତିଲୀ ଦାଵଶ୍ଵା ମିତ୍ରିଦା ନିମ୍ବସତାନ, ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରେ ବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ
ବ୍ସ୍ଵାନ୍ଦେବ ତତ୍ତ୍ଵବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ ଦା ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ:

ନେବା ମିଦିନ୍ଦେତ ଗିରିଶ୍ଵେଲ୍ଲାତ!

ଅବାଶାକ୍ଷି ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରେ ଦାଵଶ୍ଵା, ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ, କିରା ମଥାରୀଦା ଦା ଗା-
ଜାବର୍ଣ୍ଣବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ ଦାଉପ୍ୟବିରା:

— ଗାମ୍ଭେପାଲ୍ଲେ! ଗାନା ଏହି ମିରନ୍ଦ? ଗାମ୍ଭେପାଲ୍ଲେ!

— ଏହା, ଏହା ଗିରିଶ୍ଵେତ, ମାଗରାମ ବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ, ରାମ ଗ୍ରେନ୍ଦେଲ୍ଲେବାତ
ବୀବୀଲାଦ. ଦାମ୍ଭ୍ୟକରନ୍ଦିତ ମେ, ଲାନ୍ଦିନ୍ଦିରା ବାର,— ଏହିବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ ଦାଵଶ୍ଵା
ମଥାରୀଦିତ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ.

— ଶ୍ରୀ, ଶ୍ରୀ ଏହି ମିରନ୍ଦ, ମାଗରାମ ମେ କାରଗାଦ ମାତ୍ରବୀକାର
ଶ୍ରୀ, — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ଅବାଶାକ୍ଷି, — ଦା ଏନିଶିବ ମିବ ବ୍ସ୍ଵା. ଏବୀ କିମ୍ବାଦ
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ, ଶ୍ରୀ କୃଷ୍ଣ ଅକ୍ଷମଶି ନିଶ୍ଚକ୍ଷି, ମାମା ଶ୍ରୀନି ଶାଶ୍ଵେତ ବ୍ୟା-
ମ୍ଭରନ୍ଦିତ; ମାର୍ତ୍ତିର ଶ୍ରୀ ଦା ଦ୍ରେଷ୍ଟା-ଶ୍ରୀନି ବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ. ମେ ଶ୍ରୀମଦ୍ବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ, ଗାମ୍ଭେପାଲ୍ଲେ
କରନ୍ଦିତ ଦା ଦାଗକ୍ଷେତ୍ର ଶ୍ରୀ. ମିନ୍ଦିନାଦ ଗାମ୍ଭେପାଲ୍ଲେ...

— ଏହା, ବୀପି! ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣବୀ ଦାଵଶ୍ଵାମା ଦା ନିମ୍ବି ତତ୍ତ୍ଵବ୍ୟାମ୍ଭରନ୍ଦିତ ଗାମା-
କିରାଦା ପ୍ରାଣପ୍ରାଣମୁଖୀ ପ୍ରେପିଲାଦ. ଦ୍ରେଷ୍ଟା-କ୍ରେମି ବୀକିରାଦ ମିନ୍ଦିନାଦିତ ଦା ବୀ
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ଅମ୍ବାଶ୍ଵା, ରାମମେଲୀପ ତକ୍ଷବ୍ୟାମ ମଥାରୀଦିତ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣବୀଦ.
ବୀକିରାଦ ବୀଶାର୍ଦ୍ରନ୍ଦିତ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣବୀଦ, ଶ୍ରୀନିନାନିନ୍ଦିତ ଦା କ୍ରେତିଲ ଗଢାଶ ଦାଦାଦେଶିତ
ତୁ ଏହା. ଗତେବୀ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣବୀଦ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣବୀଦ; ମେ ଶ୍ରୀଗିର୍ବୀନି. କୃଷ୍ଣ ମଥାରୀଦ
କିମ୍ବାଦ ଗାମ୍ଭେପାଲ୍ଲେ, ରାମ ପ୍ରାଣପ୍ରାଣମୁଖୀ ମଥାରୀଦିତ ଦା ଦାଗକ୍ଷେତ୍ର

ბული, რაც-კი ბოროტება მოგვაყენეთ; შეგიყვარებთ და შემდეგ შინ თქვენც აღარ მოინდოებთ ჩვენთვის ბოროტს.


ამ ლაპარაკში პატარა უალერსებდა ავაზაქს, უსვამდა თავის ნაზ ხელსა. სულ-გრძელობამ მოულბო ულმობელი გული.

ვარსკვლავი? აღტაცებულს თავის თაფი დაავიწყდა; ეშინოდა მხოლოდ, რომ ტყის ჩრდილს არ დაეფარა მთვარის და მის დებისაგან პატარა ბიჭი; ვარსკვლავმა მოიტაცა სხივი სიყვარულისა ბავშვის თვალთაგან და უცბად გაჩნდა მთვარის წინაშე.

— მოტევებული ხარ, — უთხრა მთვარემ: იპოვნე საუკეთესო განძი დედა-მიწისა — გული, სავსე სიყვარულით, უმაღლესი სიმღიდრეზედ, სილამაზეზედ და ბედნიერებაზედ. იგი არის სხივი წმინდა ცისა, ცოდვის დედა-მიწაზედ მოვლენილი.

ელ. ანტონოვსკისა.






ერთის მამის სურათი *).

(უძღვნი ნატოს).

1.



ზის სახელ-განთქმულ ქვეყანას, საქართველოს, რომლის სატახტო ქალაქია ტფილისი, განაგებდა ვინმე ბრძენი და კეთილი მთავარი, სახელად ერეკლე.

იმასა ჰყენდა ოთხი შვილი: არტოკი, კობადი, დავითი და ფარუკი და რადგან ამ ქვეყანაში არ არსებობს უფროსის უფლება, თვითონვე უნდა დაენიშნა ერთი მათგანი თავის მემკვიდრედ.

მთავარს ისე თანაბრად უყვარდა ოთხივე შვილი, რომ არასოდეს არ უფიქრნია, თუ რომელი აერჩია მათ შორის თავის მემკვიდრედ; მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ღირსი იყო თავის მამის შემდეგ ტახტი დაეჭირა, ეს უკეცელად იყო ფარუკი, რომელსაც ჰქონდა ყველა თვისება და ღირსება დიდის მთავრისა.

ბავშვობიდგანვე თავი შეაყვარა ხალხს. მისი ძმები-კი, ავ-

*) ეს ზღაპარი გადმოთარგმნილია ფრანგულ საბავშვო უურნალიდან—“La Semaine des Enfants,” № 415, 19 Septembre, 1863.

სულნი და მოშურნენი, დიალაც რომ ასე სახელოვანნი გარე იყენებოდა კრიტიკული გნენ. ყოველ დღე გაისმოდა ფარუკის ქება, და ეს მწყაფე და ხვარივით ესობოდათ გულში იმის ძმებს.

ძმები ხშირად ლაპარაკობნენ იძახე, თუ რამდენად შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს სამთავროს განაწილება, როცა უბედურება ეწვეოდათ და მამა გადაეცვლებოდათ.

— ერთი ჩვენგანი გამეფდება, იტყოდა ხოლმე კობადი, — მაგრამ დანარჩენი სამი რალას იზამს? რაც უნდა მცირედი თავმოყვარეობა ჰქონდეთ, მაინც ძალიან შესაბრალისი იქნება იმათი ბედი.

— იკით რა? — დაიწყო არტოქმა, თავიდან ავიცილოთ ეგ უბედურება; მივმართოთ სახელოვან ვარსკვლავთ-მრიცხველს ზეიფადს. ადამიანთა შორის ის ყველაზე მეტად განსწავლულია; თითქმის შეიძლება ითქვას, რომ მზე და სხვა მნათობნი იმის ჩვენებით იკვლევენ თავის გზას. წავიდეთ და ვკითხოთ ჩვენის სვებედის ამბავი. მაგრამ ისე-კი ჩავიცვათ ტანთ. რომ ჩვენი ცნობა შეიძლოს მხოლოდ თვის მეცნიერების ძალით. შევფრცოთ ერთმანეთს, რომ მოვიქცევით თანახმად მისის გადაწყვეტილებისა; და რადგან იმისი წინასწარმეტყველება თვით ზეცის განაჩენად არის მიჩნეული, ჩვენც იმას დავყაბულდეთ; და სამი ჩვენგანი. რომელნიც ტახტის მფლობელობისაგან გამორიცხულნი იქნებიან, დევ ამ თავითვე წავიდნენ სხვა ქვეყნებში, იქა სცადონ თავისი ბედი, თავის ვაჟუაცობით ეცალენ და დაიპყრან რომელიმე სხვა სახელმწიფო.

ოთხივე ძმა თანახმა გახდა; უმალვე ჩაიცვეს სხვა ტანისა-მოსი, რომ არავის ეცნო, დაუყოვნებლივ გაუდგნენ გზას; რამდენსამე დღის შემდეგ მიაღწიეს კავკასიის ერთ მწვერვალს, სადაც ზეიფადინი ბინადრობდა.

ეს განდევგილი ლოცვაში იყო გართული, როცა მის კარებს მიადგნენ, და არ ისურვა შეეწყვიტნა ლოცვა, რომ კარი გაელო მათვეის. ესენი-კი განაგრძობდნენ კარების კაკუნს; ის მაინც ადგილიდან არ დაიძრა და მხოლოდ გამოსხახა:



— ახალგაზღადა მთავრებო, მოიომინეთ ერთ წუთას! შესრულება
გავათავებ ლვთის ლოცვას, მოუსმენ ქვეყნის ბატონის შეი-
ლებს: ერთის წუთის შემდეგ მზად ვიქნები თქვენდა სამსა-
ხურად.

საქართველოს ახალგაზღადა მთავრები მეტის-მეტად გან-
ცვიფრდნენ, რომ ზეითადინმა უნახველად იცნო. მოწიწებით
მოიცადეს, ვიდრე ლოცვას გაათავებდა. ბოლოს კარი გააღო
და ძმები კიდევ უფრო მეტად გაოცებული დარჩნენ, როცა
ბრძენმა თვითეული მათგანი თავ-თავის სახელით მოიხსენია და
ისიცა სთქვა, თუ რა იყო საგანი მათის მეზავრობისა.

— ჩემთვის, ბატონის-შვილებო, — დაიწყო შან, — ადვილი
არის თქვენის სურვილის დაკმაყოფილება; მაგრამ ადამიანისა-
თვის თითქმის ყოველთვის სახითათოა მომავალის განჭრეტის
მოწადინება. და თქვენც, დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი არ
იქნებით ჩემის პასუხისა, რადგან ახლავე ვხედავ, რომ ვინც თა-
ვის მამის მემკვიდრედ იქნება დასახელებული, საფრთხეში ჩა-
ვარდება, სიცოცხლე მისი ძაფზედ დაეკიდება, თავის ძმებივე
მოსისხლე მტრებად გაუხდებიან.

ბატონიშვილები, ცოტა არ იყოს, შეშინდნენ; ფარუკი
იმ აზრისა იყო, რომ უმჯობესია თავი დავანებოთ ამ ცნობის
მოყვარეობასათ; მაგრამ არ დაეთანხმნენ ამ გონივრულ რჩე-
ვას და აიძულეს ბრძენი, გაემულავნებინა ის, რაც ასე სულ-
მწარედ უნდოდათ გაევოთ.

რაფი ვერათერი უარს ვერ გათქმევინებთ თქვენს გან-
ზრახვაზე, — უთხრა ბრძენმა, დაჰყევით ამ მთის ძირ-ძირ პა-
ტარა ბილიქს, მზის ჩასვლისას იქ შეხვდებით ერთს დედა-
კაცს და ის გაუწყებთ, თქვენ შორის რომლისათვის არის გან-
მზადებული საქართველოს მეფეს გვირგვინი.

II

ბატონიშვილებმა გაუგონეს ზეფალინს; დააღგნენ მის ნა-

ჩვენებ გზას და საღამოს უამს გავიდნენ ერთ პატარა მინიჭოდნენ
ზე, რომელიც მთებით იყო გარშემორტყმული; იქ, შეა-
დგილას ერთ კლდის გამოქვაბულიდან, რომლის პირი კის
პირზე ფართო არ იქნებოდა, სქელი კვამლი ამოდიოდა. ერთ
დიდ ქვაზე იჯდა ვინმე სათნო დედაკაცი.

— ეჭვი არ არის, — უთხრეს ერთმანეთს ახალგაზდებმა, —
სწორედ ეს უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ჩვენ შევიტყობთ
ჩვენ სვებელს.

მიუახლოვდნენ დედაბერს და, როდესაც უამბეს თუ რა
აზრით იყვნენ მოსულნი, მან უბრძანა უმალვე გაეხადნათ
ფეხს და ერთი მეორის შემდეგ ჩაეყარნათ ფეხსამელი იმ
კლდის გამოქვაბულში. ის-კი იყო არტოკი ჰყურიდა თავის ფეხ-
საცმელს, რომ გამოქვაბულიდან მოისმა საზარელი გუგუნი;
მისი ფეხსაცმელი მძაფრად ამოიტყორუნა უკანვე და დაეცა
ბატონიშვილების ფეხთით; თვითონ ბატონიშვილები ერთიანად
შეიმუსრნენ ბოლითა და ნიხვრად შეიტრუსნენ. კობადისა და
დავითის ფეხსაცმელსაც იგივე დაემართა.

მაგრამ სულ სხვა მოხდა როცა ფარუქმა ჩაპყარა თავისი
ფეხსაცმელი: არავითარი ხმაურობა აღარ მოისმა, ბოლი ერთ
წუთს შესწყდა და ფეხსაცმელი სრულიად უვნებელი ამოვიდა
უფსკრულიდან.

— მაშ თქვენა ჰყოფილხართ, ბატონიშვილო, — მოუბრუნ-
და ფარუქს დედაბერი, — საქართველოს მომავალი მბრძანებე-
ლი, რადგან ზეითადინმა, ვინც წინადვე იცოდა თქვენი ამ
ადგილას მობრძანება, დამარტყმუნა, რომ გიცნობდით. აიღო
თქვენი ფეხსაცმელი, ბატონიშვილო, და განაგრძეთ თქვე-
ნი გზა.

თუ ამ წინასწარმეტყველებამ ფარუქს იდუმალი სიხარუ-
ლი აგრძნობინა, სამაგიეროდ მისი ძმები უკიდურესის შურით
იღავსო. ეს შური არაფრით არ შეამჩნევინეს, ხოლო რა-კი
მოწადინებულნი იყვნენ ხელი შეეშალნათ ფარუქის გამეფები-

სათვის, იდუმალად გაიფიცნენ, რათა მომავალი მეფე ჰქონილ მოეშორებინათ.

ტფილისში რომ დაბრუნებულიყვნენ იმ გზით, რომელ-
საც ისინი დაადგნენ, უეჭველად უნდა გამოეარნათ ერთი ხე-
ობა, ორ მთას შუა მდებარე. იმ ადგილის სიახლოვის
ღამე დარჩენა მეტის-მეტი საშიშო იყო: საზარელი გვე-
ლები იცოდა, რომელიც ჩვეულებრივ იქ მიღიოდნენ ხოლმე
გასაგრილებლად. ფარუქს ეს გარემოება არა ჰქონდა გაებუ-
ლი, და მოშურნე ძმებმაც გადასწყვიტეს სწორედ ამ ადგილას
დაედუპნათ თავისი მეტოქე. ამიტომ მოინდომეს იქ გაეთიათ
ღამე. ფარუკი ამის წინააღმდეგი არ გახდა. ხელდახელ შენა-
ყრდნენ და იქვე მიწვნენ მწვანეზე. მაგრამ, რა ნახეს ფარუ-
კი ღრმა ძილშიაო, უმალვე წამოიშალნენ და მოსცილდნენ
იმ საშიშარ ადგილს.

გველები, როგორც ჩვეულება ჰქონდათ, შუაღამისას შე-
მოკრბნენ; უკვე ნახევარ საათზე მეტი ხანი იყო გასული, რაც
მათი საზარელი სისინი გაისმოდა. ი, მიუახლოვდნენ იმ ად-
გილს, საღაც ეძინა ფარუქს; გარს შემოეხვივნენ, და ის იყო
კიდეც უნდა სცემოდნენ, რომ უცბად გაჩნდა ბრძენი ზეიფა-
ლინი. იცოდა ბოროტ ძმების შეთქმულობა და მოვიდა ფა-
რუკის დასახსნელად. თვისი კვერთი შეახო გველებს და ორი-
ოდე გრძნეულის სიტყვით ისე დაადუნა, რომ გაქვავებულებს
დაემზგავსნენ. შემდეგ, ფარუკის გაულვიძებლივ, ისევ დაბრუნ-
და თავის განმარტოვებულ სამყოფელს.

ფარუქს, რა გაელვიდა, ელდა ეცა და შეეზარა: რომელ
მხარესაც მიიხედავდა, საშინელი მცურავი განმზადებული იყო
დასძგერებოდა; იფიქრა, ჩემი ძმები ამ გველებს გადაუყლაპ-
ნიათო, მაგრამ, რაკი შენიშნა, რომ გველები უძრავად იყვნენ,
მოიკრიბა გამბედაობა, ზედ გადაუარა და ისე გაუდგა კვლავ
ტფილისის ვზას, რომ არც ერთს ამ საშინელ მცურავს მისთვის
არავითარი ვნება არ მიუყენებია.

ფარუკი მიღიოდა და თან სტიროდა თავის ძმების მწარებელი მოიღვინეთ მისი სიხარული, როცა ტფილისში შემოსვლის უმაღვე შეიტყო, რომ იგინი უკვე ექვსის საათის წინად დაბრუნებულიყვნენ. მეტად გაოცდნენ ძმები ფარუკის დანახვაზე და უნდოდათ დაეჯერებინათ ყველანი, რომ საშინელ მცურავთა სისინის გაგონებაზე თავ-ზარ დაცემულნი გამოვიკეცით მის წყვდიადში და თან ვფიქრობდით, აღბად ფარუკიც თავს უშველიდათ.

ფარუკმა არჩია ისევ ეს ყალბი ამბავი დაეჯერებინა, ვიდრე თავის ძმებისთვის ასეთი საშინელი ლალატი შეეწმებინა; არავითარი საყვედურიც-კი არ უთქვაშს მათვის; კვლავ ჩეცულებრივ სცხოვრობდა მათთან და არც-კი აწუხებდა შეესრულებინათ ფიცი, რომლის ძალით ტფილისიდან უნდა გასულიყვნენ, როცა ზეიფადინი ტახტის მომავალ მემკვიდრეს დასახელებდა.

III

რვა თვე ძლივს იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც ახალგაზღები ზეიფადინთან იყვნენ, რომ მთავარი, იმათი მამა, ნადირობის დროს გადმოვარდა ცხენიდან და მოულოდნელად გარდაიცვალა. მეტკვიდრე არა ჰყვანდა დანიშნული. სამი ძმა არ დასთანხმდა იმ დედაბრისაგან ნაუწყებ განაჩენს, ვისთანაც ზეიფადინმა გაპგზავნა, და თვითეულმა მათგანმა შეადგინა ცალკე დასი, რათა ფარუკი გამოერიცხათ და მის ადგილას თავის თავი აერჩევინებინათ.

ფარუკმა მაშინ კარგად გაიგო მთელი მათი უკეთურება; სწრაფად შეერიბა ტფილისის წარჩინებულნი მცხოვრებნი და აკნობა ასტროლოგთან წასვლის ამბავი. დაიჯერეს ეს ამბავი, თუ პირადად თვითონ არჩიეს ფარუკი სხვა მეტოქეებს, მთელი კრებული დაუყოვნებლივ ფარუკის მომხრე გახდა. ამ გვარად, ტფილისში შესდგა ოთხი დასი, რომელნიც



შზად იყვნენ ერთმანეოის გასანიდგურებლად, და ის გულაკის მარებელი
შინელი მოქალაქობრივი ომი უნდა ატეხილიყო, რომ მთელი
ხალხი, მოწიდინებული მშვიდობის ჩამოყდებას, ზეშთავონე-
ბულივით, შეიკრიბა და ახალგაზდა მთავრებს ურჩის დამორ-
ჩილებოდნენ იმის გადაწყვეტილებას, რომელიც ხვალ პირ-
ველი შემოვიდოდა ქალაქში; ამასთანავე განუცხადა, თუ
ამ პირობას არ მიიღებდნენ, ოთხივეს გამოსწირავდა ტახტს.
ფარუქმა ამის საწინააღმდეგოდ სიტყვაც არ დასძრა; არტო-
კის, კობადისა და დავითისათვის-კი გასაჭირი იყო ამ მორიგე-
ბაზე დათანხმება; მაგრამ მეტი რა ჩარა ჰქონდათ. ხალხის წი-
ნამძღვრებმა ყოველივე ოინი რომ თავიდან აეცილებინათ, ეს
სამი ძმა ცალ-ცალკე დაპატიმრეს, მათს სასახლეებს დარი-
ჯები დაუყენეს და ქალაქის გალავანის კარებიც დააკეტვინეს.

მთელმა ხალხმა ღამე გალავანზე გაათენა იმის მოლოდინ-ში, ვისაც ტფილისისათვის. მშვიდობა უნდა მოეტანა. უკვე კარგა გათენებული იყო, არსაიდან არავინ არა სჩანდა. რომ ბოლოს დაინახეს შორიდან ვინმე კეთილი მოხუცი მლოცვავი, იერუსალიმიდან მომავალი. ათას მკერდიდან აღმოხდა ხმა სიხარულისა; სწრაფად გააღეს ალაყაფის კარები იმ შხარესა, საითქნაც ბერი-კაცი მოდიოდა; გაიქცნენ წინ მისაგებებლად და მერე დიდის ზემით წამოიყვანეს სასახლეში.

მოხუცი მლოცავი დიდად განცემული იყო და არ
იცოდა რისთვის მიეწერა ის, რაც მის გარშემო ხდებოდა;
მალე კველაფერი გაიგო: განუცხადეს, შენა ხარ ის, რომელ-
მაც საქართველოსათვის ბატონი უნდა მოგვცეო, შენ უნდა
აირჩიო ერთ-ერთი ოთხ მთავართა შორის და ესენი დაემორ-
ჩილებიან შენს გადაწყვეტილებასაო.

მლოცვი ძალიან ქვეიანი მოხუცი იყო. კარგად იცოდა, თუ ამ ახალ-გაზდებში ერთად-ერთს დაასახელებდა, მაშინ დანარჩენებს, რომელნიც გამორიცხულნი იქნებოდნენ, დაუძინებელ მტრად გადადიდა. ასეთი საჭირომანო საჭმე რომ

მთლად თავისით არ გადაწყვიტა, მიკმართა შემდევს სასახლის ერთ დარბაზიდან ჩამოაღებინა განსვენებულ მთავრის დიდი სურათი, ჩამოაკიდებინა შენობის შუბლის ერთ სვეტზე, მთელი ხალხის თანადასწრებით, მერე გადააზომინა საქმიად დიდი მანძილი და სოქვა: ოთხ ძმაში, რომელიც ამ სურათს ისარს მოახვედრებს გულის ადგილის, იმას დარჩება თავის მამის შემკვიდრეობათ.

ძმებს შორის წყენასა და სამდურავს რომ ადგილი არა ჰქონოდა, უყარეს წილი, თუ რომელს უნდა დაეწყო სროლა. წილი კობადს ერგო. მან სტყორცნა პირველი ისარი და მოახვედრა ყანყრატოში დავითმა, რომელიც ცოტა უფრო მარჯვე იყო, სურათს მკერდში მოახვედრა, მაგრამ გულსკი მაინც დააცილა; ხოლო არტოქმა წვივში მოარტყა.

დადგა ფარუკის ჯერი; ხალხმა კარგად იცოდა მისი შეუდარებული სიმარჯვე და ეჭვიც-კი არავის ჰქონდა, რომ ის მოიგებდა სანაძლეოს; მაგრამ წაბუქმა განრისხებით დალეჭა თავისი შვილდ-ისარი და გადაჰყარა.

— მე! — სოქვა მან, — ვტყორცნო ისარი ამ სათაყვანებელ სურათს!.. არა, არასოდეს... თუ გვირგვინი ამ ფასით არის სასყიდელი, უარ-ვყოფ- და გამეფლნენ ჩემი ძმები, მათი ბედნიერება არ შემშურდება: ჩემი ხელი-კი არასოდეს არ გაისვრება ამ ულირსის საქციელით, რაც მაგათ ამ წუთას იკადრება.

დამსწრეთ დიდად მოიწონეს ფარუკის კრძალვითა და კეთილშობილებით აღსავსე გადაწყვეტილება; და ერთხმად დადაუინებით სთხოვეს მლოცვავს დავა მის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

— ჩემი განზრახვაც სწორედ ეგ იყო, — უთხრა ბრძენმა მოხუცმა, — და ეს გამოცდაც იმიტომ დავნიშნე, რომ თქვენ თის თონვე უფრო მეტის გარკვევით გადაგეწყვიტათ, ამ ოთხ ძმაში რომელი უფრო ლირის იყო ტახტის დაჭერისა: მოკრძა-

ლებული პატივის-ცემა და მტკიცე გრძნობა მოვალეობისთვის
მეფეთა უპირველესი სათნოება; და ფარუქმაც ეგ თვისებანი
ეს-ეს არის თქვენს წინაშე ისე ბუნებრივიად გამოიჩინა, რომ
მგონია უფალს შეურაცხვყოფდი, რომ არ მეთქვა: „აი ის,
ვინც თქვენ შორის უნდა მეფობდეს მეთქი.“

მთელმა ხალხმა სიხარულის კიუინა შექმნა; სამი ბორო-
ტი ახალგაზდა-კი შერცხვენილნი მოშორდნენ იქაურობას და
სამუდამოდ მიატოვეს თავისი ქვეყანა...

ხალხმა იქვე ერთგულება შეპტიცა ახლად გამეფებულს.
ფარუქმა მოისურვა მლოცავი თავისთან დაეტოვებინა; მაგრამ
კეთილმა მოხუცმა სთხოვა ნება მიეცა უარი ეთქვა ამ წყა-
ლობაზე.

—დიდო ბატონო,—მიუგო მან,—ვაი თუ ასე სოქვან, რომ
სიკეთე, რასაც თქვენ ჩემზე მოიღებთ, ჯილდო არის სულმდაბალ
პირფერობისაო, რაიცა ვითომ მე ჩამედინოს დავის თქვენ სა-
სარგებლოდ გადაწყვეტის დროს; მე-კი მსურს ყველამ იცო-
დეს, რომ არავითარი ანგარება არა მქონია. ისე განვსაჯე,
როგორც ჩემმა სვინიდისმა მითხრა; ზეცას შევთხოვ, რომ ბე-
დნიერი ჰყოს შენი მეფობა, რომ შენი სოცოცხლის უკანას-
კნელ წუთამდე ანგელოზებმა, რომელთაც უნდა აღნიშნონ
ყველივე შენი საქმე და შენი სიტყვა, არაფერი ისეთი არ
მოიხილონ და არ გაიგონონ, რაც უფლისათვის სამური არ
იქნება.

სათნო მოხუცმა, რომ გაათავა ეს სიტყვები, დასტოვა
ტფილისი; ისე წავიდა, რომ მეფისაგან არავითარ საჩუქრის
მიღება არ ისურვა.

ყველა სათნოება ერთმანეთისაგანაა დამოკიდებული: ფარუქი
როგორც კარგი შვილი და კარგი ძმა იყო, ისევე კარგი და
კეთილი მთავარი აღმოჩნდა, და საქართველოც ბეღნიერი იყო
იმის მეფობის დროს.






ორი მხატვარი.

(შემდეგი)

თ ა ვ ი IV.



ენრ პესტალოცი, რომელიც ასე
მოუწოდნელად შეხვდა საწყალ ფრი-
დოლი ^ა და თავის სახლში წაიყვანა,
მთელ თავის სიცოცხლეს ღარიბისა
და უპატრიონოდ დატოვებულ ბავ-
შვების აღზრდა-სწავლებას ანდომებდა. მის სახლში ბევრი
ავადმყოფი, სუსტი და ჭკვა-ნაკლები ბავშვი სცხოვრობდა. პე-
სტალოცი არავითარ შრომასა და ზრუნვას არა ჰქოვავდა,
რომ აღეზარდა ის საცოდავები და მათგან ჯანსაღი და ჭკიო-
ნი კაცები გამოეყვანა.

აარის ოლქში, ლენცბურგის მახლობლად გაშლილ ვაკე-
ზე მოხდენით იდგა პესტალოცის დიდი, ლამაზი სახლი. სა-
ხლის გარშემო შემომექსრილი იყო ძლიერ დიდი ადგილი, რო-
მელსაც ერთობ ამშვენებდნენ ირგვლივ ჩარგული ალვის
ხეები. ამ ადგილის ერთი ნაკერი მოხნული იყო და შიგ პუ-

რი ეთესა. მეორე ნაჭერი მოფენილი იყო ნოვიკოს შემდეგის ხით, და ზედ ძროხები, თხები და ცხვრები სძოვდნენ. შემდეგ შოსხანდა სხვა-და-სხვა ჯიშის ხეხილი და კიდევ იქით გაშენებული იყო ბოსტანი, ყოველგვარ მწვანილით სავსე. ზედ სახლის წინ მშვენიერი ბაღია იყო გაშენებული, რომელ-შიაც ბილიკები შესანიშნავის სისწორით იყო გაკეთებული. ამ სახლსა და მის გარშემო ბაღსა და ბოსტანს „ახალ ეზო“-ს უწოდებდნენ.

აქ პეტალოციმ, მეგობრების შემწეობით, 1775 წელს დაარსა სკოლა, საღაც არა ერთმა ასმა ღარიბმა და უპატრიონოდ მიტოვებულმა ბავშვმა პპოვა თავ-შესაფარი და აღერსი, მიიღო აღზრდა და მთელ სიცოცხლეში „ახალი ეზო“ თავის საკუთარ სახლად მიაჩნდა, პეტალოცი-კი ნამდვილ მამასავით უყვარდა.

ამ სახლში მიიყვანა პეტალოციმ პატარა ფრიდლი თავის კატიანად. საკმაოდ გვიან იყო, შინ რომ მივიდნენ. დიასახლისას გარდა, ყველას ღრმად ეძინა. ეზოში რომ ეტლის რახუნის ხმა გაიგონა, გააღო ფანჯარა და ნელის ხმით დაუძახა ქმარს:

— მადლობა ღმერთს, პენრი, რომ მშვიდობით მოხვეჯი! გეტიუბა, მარტოც არა ხარ, — დაუმატა ახალგაზდა ქალმა, როდესაც ეტლში ვიღუცას სახე დაინახა.

— დიალ, ანნა! მიხვდი, მარტო არა ვარ: გზაში კარგი რამ ვიპოვნე! სიცილით მიუგო პეტალოციმ.

— იპოვნე?! გაიმეორა პეტალოცის ცოლმა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს ახალი ნაპოვნი უპატრიონო ბავშვი იქნებოდა.

— ახლავე შემოვალთ, — განაგრძობდა პეტალოცი: — მხოლოდ იცოდე; არ შეგეშინდეს: ჩემი ნაპოვნი მაინც-და-მაინც ლამზი ვერაა.

თუმცა ასე გააფრთხილა ქმარმა ცოლი, მაგრამ ქალბას ტონი პეტალოცი მაინც უნებლიერ შეკრთა და ერთი ნაბი-

ჯით უკან დაიხია, როდესაც ქმარმა მასთან ფრიდლი მიშეუჭრავა
ნა. ამ ქალს თავის სიცოცხლეში ყოველგვარი ბავშვი ენახა,—
ჭუჭყიანიც, ავადმყოფიც, ჭკვა-ნაკლებიცა, — მავრამ ასეთი
შესაბრალისი არსება-კი არასოდეს არ ენახა. ახლად მო-
ყვანილი ბავშვი იყო გამხდარი, ფერმკრთალი, გამოჩერჩე-
ტებული; ისედაც უშველებელი, ჩალრმავებული თვალები კი-
დევ უფრო დიდათ გეჩვენებოდათ; ტანთ ეცვა ჭუჭყიანი ძონ-
ძები და ხელში კატა ეჭირა; ერთის სიტყვით — იმ უამად
ფრიდლი აჩრდილს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ჩვეულებ-
რივ ცოცხალ ყმაწვილს.

ქალბატონ პესტალოცის შიში დიდხანს არ გაგრძელებუ-
ლა; რამდენსამე წუთს შემდეგ სრულიად გამოირკვა შიშისა-
გან და ახლა მხოლოდ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რა უნდა
მოეხერხებინათ საწყალ ფრიდლისათვის.

— უამეტოი უწინ ბავშვს კარგად უნდა ვასვათ და ვა-
კამოთ, — ეუბნებოდა პესტალოცი თავის ცოლს: — შემდეგ და-
ვაწვინოთ პატარა ცალკე ოთახში; საზოგადო საწოლ ოთახ-
ში—კი ამის დაწვენა არ ივარგებს, თორემ იქნება დილას სხვა
ბავშვებმა ხმაურობა დაიწყონ, კატას რომ დაინახავენ; ბავშვს
კი არაფრისოთვის არ უნდა თავის საყვარელ კატის დათმობა.

რამდენსამე წაშ შემდეგ ფრიდლის მოუტანეს ჩაი, შემ-
წვარი ხორცის ნაკერი და კარაქ-წასმული პური. საბრალო
ბავშვს მოელ თავის სიცოცხლეში პირველად მოუხდა ასე
მშვენივრად ვახშმობა; არც ახლა ივიწყებდა თავის მეგობარს.

— ციცუნიასაც ხომ ვაკამო? — ჯერ თვითონაც ერთი ლუ-
კმა არ ჰქონდა აღებული და ასე-კი შეეკითხა ფრიდლი პესტა-
ლოცის.

— მაშა, მაშ, ჩემო ფრიდლი! ციცუნიასაც აჭამე! უთუ-
ოდ ისიც მშიერია, — ალერსით მიუვო გამოჩენილმა კაცთ-მო-
ყვარე პედაგოგმა.

— ოჲ, კეთილო ადამიანებო, კეთილო ადამიანებო! — ჩუ-
ვ

რჩულებდა ფრიდლი და თან თავის საყვარელ ციცუნთაშვილ მელს უყრიდა.

ნავახშევს ფრიდლი დაწვინეს კარგს სუფთა ქვეშაგებში, რაც მისთვის სრულიად უცნობი იყო, რადგან საბზოლო ბავშვი საზოგადოდ მწვირიან ჩენწმი გდებას იყო ნაჩვევი.

— ეს ბავშვი ყველა ჩემ ხელში გამოვლილ ბავშვებზედ უფრო სუსტი, გალახული და უგულისყურო მეჩვენება, — სთქვა პეტალოციმ, ცოლთან რომ მარტო დარჩა; მაგრამ, წარმოიდგინე, რა ბედნიერება იქნება, ჩვენის შრომით რომ ეს ბავშვი გამოკეთდეს, დაჭკვიანდეს და ერთ დროს პატიოსან საქმის კაცი დადგეს.

პეტალოცის გულ-შემატკივარი და გონიერი ცოლი სრულიად თანაუგრძნობდა ქმრის აზრს და თავის მხრით მზად იყო, თუ-კი რამ შეიძლებოდა, არ დაეშურა საწყალ ჭვანაკლებ ფრიდლისათვის.

მეორე დილას ფრიდლი დაბანეს, დავარცხნეს, სუფთა ტანისამოსი ჩააცეს და პეტალოციმ წაიყვანა დანარჩენ თავის მოწაფეებთან, რომელთა რიცხვი ორმოც-და-ათამდე იყო. ზოგიერთი მათგანი თვითონ მშობლებისაგან იყო სკოლაში მიბარებული, დანარჩენები-კი პეტალოცის პირდაპირ ქუჩებში შეეკრიბა: უკანასკნელნი ისეთივე მშიერ-მწყურვალნი და უთავ-შესაფარონი იყვნენ, როგორც ფრიდლი. მათ ყველას ერთნაირად უყვარდათ სკოლაცა და თავისი აღმზრდელიც.

— საყვარელო ბავშვებო, — სთქვა პეტალოციმ, როდესაც დიდ ოთახში შევიდა, სადაც ეს — ეს იყო ლოცვა გაეთვებინათ, აი, ახალი ამხანაგი მოგიყვანეთ. თქვენ, ღვთის მაღლით, ყველანი კარგადა ხართ და ჭკუა გაქვთ; ეს საბრალო კი ძლიერ სუსტია და ჭკუაც აკლია. ხომ იცით, ყოველ კეთილ ადამიანს გული შესტკივა ავადმყოფებისა და უძლურებისათვის, ამიტომ იმედი მაქვს, არამც თუ სასაცილოდ არ აიგდებთ ამ ბავშვს, არამედ გულკეთილად და ლმობიერადაც მოეპყრობით.

— რასაკვირველია, უსათუოდ შევიყვარებთ, — წამომარტინი
ბავშვებმა ერთხმად. ზოგიერთები-კი მაშინვე მიუახლოვდნენ
ფრიდლის და ტკბილად გამოელაპარაკნენ.

როგორც ჭკვიანი და გამოცდილი მასწავლებელი, პე-
სტალოცი პირველ დღეებში ფრიდლის არაფერს აკეთები-
ნება, ადა ბავშვი ცოტათი შესთვისებოდა სკოლას და
თავის ახალ ცხოვრებას შესჩვეოდა. ფრიდლის მისცეს სხვა-
და-სხვა სათამაშოები, მისცეს მთელი ყუთი ხის კუბიკებისა,
რომელებითაც ბავშვებს საზოგადოდ ძლიერ უყვარო გოჯილე-
ბის შენება; მაგრამ ჩვენმა პატარა ველურმა ამას სრულიად
უურადლება არ მიაქცია. მაშინვე ქაღალდსა და ფანქარს
წამოავლო ხელი და დაიწყო ხატვა. განსაცვიფრებელი ის იყო,
რომ ფრიდლის ყველა ნახატებიდან ერთი და იგივე საგანი
გამოდიოდა: ეს იყო მისი საყვარელი კატა. რა თქმა უნდა,
ფრიდლის ნახატები ჯერ-ჯერობით ყველა ტლანქი და უშნო
იყო, მაგრამ, თუ დააკვირდებოდით, მაინც შეიძლებოდა შე-
გემჩნიათ, რომ ყმაწვილს დაბადებიდანვე თან-დაყოლილი ხა-
ტვის ნიჭი ჰქონდა. ამგვარმა აღმოჩენამ ძლიერ გაახარა პე-
ტალოცი და მეტადრე მისი ცოლი, რომელსაც თვალი ვერ
მოეშორებინა, ეს გამხდარი და სუსტი ხელები რა თავისუფ-
ლად ხმარობდა ფანქარს. სამაგიეროდ, ხატვის გარდა, ფრიდ-
ლის არაფერს კეთება არ უყვარდა და არც არაფერს ნიჭი
ჰქონდა. წერა-კითხვაში ძლიერ სუსტი იყო, ანგარიშისა ხომ
სრულიად არაფერი გაეგებოდა, ლაპარაკითაც წინანდელებრ
ძლიერ ცოტას ლაპარაკობდა და იმასაც რაღაც მოსულელოდ,
მაგრამ, პეტალოცი მაინც თხოულობდა, რომ ბავშვს უსათუ-
ოდ ყოველ დღე ესწავლა, თუნდ სულ ცოტ-ცოტა; დანარჩე-
ნი დრო-კი ფრიდლის შეეძლო ხატვისთვის მოენდომებინა
და, რამდენიც უნდოდა, ეხატა. თქმა არაა საჭირო, რა დიდი
ბეღნიერება იყო ეს ჩვენი საბრალო ფრიდლისთვის! ახლა
სრულს მის განკარგულებაში იყო ერთი ასპიდის დაფა, ჭა-

ლალდი, ფანქარი. ისიც მზად იყო ტილიდან-სალიმანიშვილის
თავის საყვარელ ციცუნისა სურათები ეხატა კატაც მისღა
ბედად მთელ საათობით გაუნძრევლად გვერდით უჯდა და ხა-
ტვის დროს ხელს არ უშლიდა

ბოლოს ფრიდლის ნახატები თან-და-თან სულ უკეთესი
და უკეთესი გამოდიოდა, მეტის სინამდვილითა და დედანსაც
უფრო ჰგავდა; ასე რომ ახლა თამამად შეიძლებოდა დაიმედე-
ბულიყავით, რომ ოდესმე ფრიდლი კარგი მხატვარი დადგე-
ბოდა.

როდესაც პესტალოციმ ფრიდლის ერთი კოლოფი სხვა-
და-სხვა სახატავი ფერადები აჩუქა და ასწავლა მათი ხმარება,
პატარა მხატვრის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მოწაფეებმა, რომელნიც აქამდისაც ეფერებოდნენ ფრიდ-
ლის, ახლა მეტი ყურადღება მიაქციეს და ხან ერთი, ხან მე-
ორე სურათის დახატვას სთხოვდა. ფრიდლიც მათს თხოვნას
დიდის სიამოვნებით ასრულებდა და დაულალავად ხატავდა
თავის ნაკრისფერ კატას, სულ სხვა-და-სხვა მდგომარეობაში;
შემდეგ კატებისა და მათის კნუტების მთელ ჯგუფების ხატვა
დაიწყო და ამხანაგებს ურიგებდა.

მხოლოდ ერთს ბავშვს, სახელად რუდოლფს, ანუ რო-
გორც საზოგადოდ სკოლაში უწოდებდნენ—რუდის, ფრიდლი
ერთ სურათსაც არ აძლევდა და ი რისთვის: პირველ დღე-
ებში, როდესაც ფრიდლი სკოლაში შევიდა, ეს რუდი და-
სკინოდა, მთელი დღე კატას არ სცილდებიო, და „მეკა-
ტე“-ც დაარქვა. მშიშარა და უწყინარმა ფრიდლიმ ვერ დაი-
ვიწყა ეს შეურაცხვოფა, რომელმაც, როგორც ახლავე დავი-
ნახავთ, მისთვის უმნიშვნელოდ არ ჩაიარა.

ერთხელ, ნასადილევს, ბავშვები ბაღში წავიდნენ, პატა-
რა ნაკვეთ ადგილის გასაწმენდად; აქ პესტალოცის ხეების და-
რგვა უნდოდა და მოწაფეების მუშაობას თვითონ ადევნებდა
თვალ-ყურს. მშვენიერი ამინდი იყო. ბავშვები მხიარულად
მუშაობდნენ, თან იცინოდნენ და ლაზლანდარობდნენ. ამ



დროს უეცრად ლობეზე ფრიდლის კატა გამოჩნდა. კატა დაინახეს, ბავშვებმა მუშაობას მაშინვე თავი დაანებეს და და-
საჭერად გამოუდგნენ. რასაკვირველია, სრულიადაც არ უნ-
დოდათ კატისთვის რაიმე ვნება მიეყენებინათ; მხოლოდ ისე—
გაქცევა და წათამაშება უნდოდათ. თვითონ პესტალოცი ჰქე-
დავდა ყველა ამას, მაგრამ არ დაუშლია ბავშვებისათვის, რა-
ღან იცოდა—კატისთვის ერთი ლობეზე შეხტომა სრულიად
საქმა იყო, რომ მდევრები თავიდან მოეშორებინა. კატაც
ასე მოიქცა, მაგრამ სწორედ ამ დროს, თითქოს რაღაც საუ-
ბედუროდ, ცელქს რუდის აზრად მოუვიდა ლობიდან კატა
უსათუოდ ჩამოეგდო... ბევრი არ უფიქრია, წამოავლო ქვას
ხელი, დაუმიჩნა და ისე ლონივრად მოარტყა, რომ კატამ ერ-
თი დაკავლება ძლივს მოასწრო—მკვდარი დაეცა შეშინებულ
რუდის წინ, რომელიც ასეთ სამწუხარო შედეგს სრულიად არ
მოელოდა. ფრიდლი ამ დროს ფანჯარასთან იღგა და უყურე-
ბდა, ბავშვები რომ კატას დასდევლნენ; ისიც დაინახა, რუდიმ
რომ კატას ქვა ესროლა, და, როცა თავის მეგობრის გულ-
შემზარავი კნავილი გაიგონა, მაშინვე გაექანა დასახმარებლად.
მაგრამ როდესაც მკვდარი კატა დაინახა, ჯერ თითქოს გაუ-
კვირდა; შემდეგ ხელის წასმა და ფერება დაუწყო; მაგრამ,
რაკი კატამ ალერსზე პასუხი არ გასცა, სასოწარკვეთილი ყვი-
რილოთ წამოვარდა და ეცა თავის მტერს. რუდი ჯერ კიდევ
გონს ვერ მოსულიყო, რომ ფრიდლიმ წამოაქცია, დაუწყო
ცემა, კბენა და ისე გახელდა, რომ პესტალოციმ ძლივს მოუ-
სწრო და ხელიდან გამოჰველივა. შემდეგ, როგორც იყო, დი-
დის გაჭირვებით დაამშვიდა კატის სიკვდილით გულჩათუთქუ-
ლი ფრიდლი.

ბაღში მაღვ ისევ ჩვეულებრივი წესი დამკვიდრდა. რუდი
სახლში წაიყვანეს, წამალი დაალევინეს და დააწვინეს. დანა-
რჩენმა მოწაფეებმა თავის ჩვეულებრივს გაკვეთილებს მოჰკი-
დეს ხელი. ფრიდლი-კი, პესტალოციმ საჭიროდ დაინახა დასა-



სჯელად ცალკე პატარა ოთახში დაემწყვდია, რომ იქცეა აჭარა და გავიდა ერთი საათი. შებინდებისას ქალბატონში პესტალოციმ დაუძახა ქმარს და სთხოვა წასულიყვნენ ფრიდლის სანახავად. „სწორედ გული მიკვდებაო,“ — ამბობდა ქალი, — „როდესაც წარმოვიდგენ იმ უნგეშო ცრემლებს, ფრიდლი რომ კატის სიკვდილის გამო ღვრის; უთუოდ ეს კატა მისთვის ყველაფერზედ ძვირფასი იყო.“ პესტალოციმ გაუგონა ცოლს და მიუახლოვდა იმ ოთახის კარს, სადაც პატარა ტყვე იყო დამწყვდეული. ყური დაუგდო: ჯერ მხოლოდ რაღაც ყრუ ქვითინი მოესმა, შემდეგ გაარკვია ფრიდლის სამწუხარო ხმები, რომლითაც დასტიროდა თავის დაკარგულს ნაცრისფერ კატუნიას.

— ჩემი კარგი, ჩემი საყვარელი ციცუნია მოკვდა! ბოროტმა რუდიმ ქვით მომიკლა! მეც მინდა მოკვდე! ისმოდა გულდამწვარ ბავშვის ხმა, რომელსაც ხანდისხან ქვითინიც ემატებოდა.

ასეთის ღრმა მწუხარების დანახვაზე პესტალოცის ძლიერ შეებრალა საცოდავი ბივშვი, რომელმაც თავისი ერთად-ერთი მეგობარი დაჲკარგა, და გადასწყვიტა ისე სასტიკად აღარ დაესაჯა რუდის გალახვისათვის; რუდიმ ერთის მხრით თვითონ დაიმსახურა ასეთი მოპყრობა. პესტალოცის თან იმისიც ეფიქრებოდა, რომ კატის სიკვდილს ცუდი გავლენა არ ჰქონიდა ფრიდლის მხატვრობის ნიჭე.

ვამდის წინ პესტალოციმ მოიხმო ფრიდლი, რომ მცირე საყვედური გამოეცხადებინა და თანაც მწუხარებაში ცოტათი მაინც ენუგეშებინა.

— იცი, ფრიდლი, რა საშინლად გალახე საწყალი რუდი? — დაიწყო პესტალოციმ რბილის, მაგრამ თან დარიგებისა და შეგონების ხმით: — საცოდავი ახლა ლოგინადაა ჩავარდნილი და თავი და ხელები ძლიერ სტკივა. ამაში ხომ შენა ხარ დამნაშავე და თვითონა ჰქედავ, რომ სასჯელის ღირსი ხარ.

— କାର୍ଗି, ମାଗରାମ ନୀ ମୁୟେ, କେମିଳ କ୍ରେତିଲ୍ଲି ମାମାକ୍ରିନ୍ଦ୍ରିଯୁଷ୍ମା
ମୁୟେ, ଶେବି କୁରିମ୍ଭେ! ରୁଦ୍ର କ୍ରେତିଲ୍ଲି ର୍ଜନ୍ଦ୍ରିବା ଓ ଫ୍ରିଦଲ୍ଲିପ ନୀତି
କ୍ରେତିଲ୍ଲି ଗାନ୍ଧେବା! - ଏବେଦର୍ଗ୍ରମିଲ୍ଲା ଫ୍ରିଦଲ୍ଲି ଓ କ୍ରେତାଲ୍ଲିପିଲ
ମାମାସ ଉତ୍ତିଲ୍ଲିବଦା, ରୁଦ୍ର ସାଥିଗାଲିଲ ପ୍ରେଲା ମନ୍ତ୍ରିତ୍ତେ
ଉତ୍ତିଲ୍ଲିବଦା.

— ମାତ୍ର, କାର୍ଗି; ଆ ସାମ୍ରାଜ୍ୟ ବ୍ୟାଳ ଲିଲିତ ଗାୟାରିତ୍ତେ,—ଦା-
ଦିନଖ୍ରେବିତ ମୁଗ୍ଧ କ୍ରେତାଲ୍ଲିପିଲ: ଅଳ୍ଲା-କି ଚାଲି ଓ ଉତ୍ତିବାରି,
ରୁଦ୍ର ଗାନ୍ଧେବା ମନ୍ଦିରାନ୍ତିରିନ୍ଦିନ! ଏବି ମନୀମିନା ଫ୍ରିଦଲ୍ଲିପି, ମାଗରାମ
ନନ୍ଦାନିଦାନ ମାନିଲ ଏବି ଗାଲିଲା, କାନ ଏରତ୍ତ ଫ୍ରେବି ଦାବେଦଜିନ୍ଦିବଦ-
ଦା ଓ କାନ ମେରାର୍କେ. ଏତ୍ତିମିଲ୍ଲା ରାଲାପାସ ତ୍ରୀମା ଉନ୍ଦିଲା ଓ
ଅମାର୍ଗ ଦରନ୍ତ ମନ୍ତ୍ରିବାର୍କେବିତ ଉପୁର୍ବେଦଦା ତାଙ୍କିଲ ଅଳମିରିଦେଲା ଓ
ମିଳ ପ୍ରାଣିଲ୍ଲା.

— ଶେବ, ମନ୍ଦିର, ରାଲାପାସ ତ୍ରୀମା ଗିନିଦା, ଏଠା?—କୁରିବା
ଦିନଲାଲ କ୍ରେତାଲ୍ଲିପିଲ ଓ ଅଲ୍ଲାର୍କୁଲିତ ଦିନବାରା ଦାଵିଦ୍ଵିତ୍ତିକାନ.

ଆ ଦରନ୍ତ ଫ୍ରିଦଲ୍ଲିଲ ତ୍ରୋଲ୍ଲିବି ପ୍ରିମିଲ୍ଲିବି ମନୀଦିଗା ଓ
ମନ୍ତ୍ରିବା ଅମନୀବ୍ରାତ ଚାନ୍ଦିଲ୍ଲିର୍ବିଲା: “ପିପୁନିବ, କେମି ପିପୁନିବ!”
ମେରମେ କ୍ରେତାଲ୍ଲିପିଲ ଉପୁର୍ବେଦ କ୍ରେଲି କ୍ରେଲି ଚାନ୍ଦିଲ୍ଲା, ମାଗରାଦ
ଅଜନପା କ୍ରେଦ ଓ ନନ୍ଦାନିଦାନ କୁମାଦ ଗାମନ୍ତିଲା.

ମେରାର୍କ ଦିଲାସ, ପ୍ରେଲାସ ଗାନ୍ଧୀପ୍ରେଇଫର୍ବେଦିଲାଦ, ଦାନିବାର୍କେ, —
କ୍ରେଲାଶି ମନ୍ତ୍ରିତ୍ତେତା ରିକ୍ବେଲ ଏରତ୍ତ ଅକ୍ଲିଦା. ଏ ନ୍ୟୂ ଫ୍ରିଦଲ୍ଲି,
ରାମିଲ୍ଲିପ ଲାମିଲା ତାଙ୍କିଲ ମକ୍ଵଦାର କାତିଲ ସାଲାପ ଗାମିରାଲିପ.

ଭ. ଅଗାଲିବାନ.

(ଶୁଭଦେବ ର୍ଜନ୍ଦ୍ରିବା).



ჭანეთი და ჭანები.

(ეთნოგრაფიული წერილი).



ანები, ანუ, როგორც კიდევ ეძახიან, ლაზები ქართველების თანამოძმე ტომისანი არიან, ისე როგორც მეგრელები და სვანები. ჭანები დღეს თითქმის ყველა მაჰმადიანია; სცხოვრობენ უმეტეს ნაწილად ოსმალეთის (სათათრეთი) იმპერიაში, მხოლოდ უმცირესი ნაწილი სცხოვრობს რუსეთის იმპერიის საზღვართა შორის, სახელდობრ: ჭანები — ჩხალელები. ჩხალელები მოსახლეობენ რვა სოფლად მდინარე ჭოროხის მარცხენა შესართავის ჩხალაწყლის ხეობაში (ბათუმის ოლქის ართვინის მხარეს).

იმ დროს, როდესაც სამთანამოძმე ტომის — მეგრელებს, სვანებს და საკუთრივ ქართველებს დღეს ცოტად თუ ბევრად



ლაზები.



გვაკავშირებს საერთო ეროვნული ლიტერატურა, ექსპოზიცია
თუმცა ჩვენი ნამდვილი სალი ეროვნული თვითშეგნება და-
ჩლუნგებულ-დასუსტებულია, აღვილად წარმოიდგენთ, თუ რა
ხიფათი მოელით ამ მხრივ ჭანებს, რომლებსაც ჩვენთან აღარ
აკავშირებს არც ლიტერატურა, არც სარწმუნოება და რომ-
ლებიც ამასთანავე ფიზიკურადაც მოწყვეტილნი არიან ჩვენ-
გან. ამასთანავე ჩვენ — ქართველებსაც მივიწყებულნი გვყანან
ეს ჩვენი ძმები და იმათსას არც კარგსა და არც ავს აღარ
ვკითხულობთ. ამიტომ გვსურს, მოკლედ მაინც, გავაცნოთ
ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებს ჭანების დღევანდელი და უწინ-
დელი ყოფა მდგომარეობა.

ჭანეთი დღეს მდებარეობს ტრაპიზონის ვილაიეთში (ოლ-
ქი, გუბერნია) და შეადგენს რიზეს სანჯაყის (მაზრა) ორ კა-
ზას (საბოქაულო). უჭირავს შავი ზღვის ვიწრო ნაპირი სამ-
ხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ, ქემერი-
დან სარპამდის. სარპი უკვე რუსეთის საზღვრებშია, კორო-
ნიდან დასავლეთისაკენ სამის საათის სასიარულოზედ. ჭანეთ-
ში შემდეგი ქალაქებია, ზღვის პირას გაშენებული: ათინა და-
სავლეთით, შემდეგ ვიწე, არქაბი და აღმოსავლეთით ხოფე.
შემდეგი უმთავრესი მდინარეებია: ათინას-წარი (წყალი), მელეს-
კურ-წარი, ბოდა-წარი, ფორტუნა, ვიწე და ხოფე. ამ მდინა-
რეთა ხეობებში გაბნეულია ჭანების სოფლები, რიცხვით ოთხ-
მოცამდე. ხმელეთით ჭანეთს საზღვრავს ჭანეთის ანუ ლაზის-
ტანის მთა. ამ მთას რამდენიმე მწვერვალი აქვს; დავასახელოთ
მხოლოდ ისტორიულად შესანიშნავი პარხალი, რომლის კალ-
ორბზე გაშენებულია ამავე სახელის სოფელი ამავე სახელისა-
ვე ძველ ქართულ მონასტრით.

ჭანელების ცხოვრების საღსრად ერთის მხრით მეურნეო-
ბა, მეორეს მხრით აღებ მიცემობა და სხვა-და-სხვა ხელობაა;
სთესენ სიმინდს, რომელიც ჰყოფნით 7—8 თვეს, დანარჩენი
შეაქვთ რუსეთიდან. სთესენ აგრედვე ბრინჯასაც. ხილი ბევრი
მოდის: ვაშლი, მსხალი, თხილი, ფორთოხალი, ლიმონი, ასე



რომ საზღვარ გარედაც გააქვთ. ლაზები კარგი ხელშესახულება
არიან: მჭედლები, ქვის მთლელები, კარგი მეზღვაურები, მე-
ბურეები, დურგლები და მხერხავები. ხშირად სამუშაოდ სხვა-
გან მიღიან: —ჩვენსა, შიდა რუსეთს და პოლონეთს. სახლში
ქალები რჩებიან და ყოველგვარ სამუშაოს ეწევიან. ბაზრობა-
ზედაც, რომელიც ყოველ კვირას იმართება, ისინი გამოდიან
და წვრილ-ფეხსა და ხილს ჰყიდიან. ქალები, როგორც საზო-
გადოდ ყველგან სამაჰმადიანოში, ჭანეთშიაც დამონებულნი
არიან: პირზე ჩადრი აქვთ ჩამოფარებული; მამაკაცს, თუ არ
მახლობელ ნათესავს, ვერ დაელაპარაკებიან და სხვ... სახლებს
ქვისა იშენებენ უმეტეს ნაწილად, ჰესურავენ კრამიტით. სახ-
ლის ახლოს სდგამენ ხის სასიმინდეს. თავზე ჰესურავთ ჩაბალა-
ხი, ახლა თათრულ ქუდისაც იხურავენ (ფეხი), ეწყობიან „ჩა-
ქურაში“, ანუ „გურულ ტანისამოსში“, ძლიერ უყვართ იარა-
ლი. იციან ფერხელი სიმღერით („ობირუ“), ცალკე ვაჟებმა
და ცალკე ქალებმა. ქალების ფერხელს ვაჟები ვერ დაესწრე-
ბიან, მაგრამ რადგან ჭანური ენა ქალებმა უფრო იციან და
კარგ ლექსებს ამბობენ, ვაჟები ფარულად უყურებენ, რომ
ლექსები დაიხსოვონ.

ეროვნულ საგანძურიდან რაც-კი დღემდის შერჩენიათ
ლაზებს ეგ მათი ენაა, რომელიც ძლიერ უახლოვდება მე-
გრულს. მაგრამ ეს განძიც დღითი დღე იყარგება: მამაკაცები
კიდევაც უკადრისობენ ლაზურად ლაპარაკს, უფრო ოსმალუ-
რი მოსწონთ და ეხერხებათ. ლაზური ენა, მათის სიტყვით,
„ქალების ენაა“; მართლაც ქალებმა უკეთ იციან ლაზური,
ხოლო უბედურება ის არის, ქალს უცხო კაცი ვერ დაელაპა-
რაკება, რომ მათგან ჩასწეროს ლექსები და ზღაპრები. ამით
აიხსნება ის გარემოება, რომ ასე ცოტაა ჯერ ჭანური ტექსტე-
ბი შეგროვილი. ზღაპრები ხომ სულ არ იყო ჩაწერილი, მხო-
ლოდ შარშან ჩაიწერა სამი ზღაპრი. ამ ზღაპრების ქართულ
თარგმანს ქვევით გავაცნობთ მკითხველებს.



ଫେନ୍ଦୁ ପୁରୁଷ ଓନ୍ଦୋସାମୋର୍ମା ଦେଖିଯୁଗେଣ୍ଠିଲା.

ისლამის გავლენით ჭანებს მარტო ის-კი არ დაავიწყდათ, რომ მე-VI საუკუნიდან მე-XVI-მდის ქრისტიანნი იყვნენ. არა-მედ ისიც, რომ ჭანები ძველი ხალხია და თავის ისტორიას მე-XVI—XVII საუკუნიდან იწყებენ, ე. ი. ისლამის მიღები-დან. დანამდვილებით-კი ჭანები, როგორც საზოგადოდ ცველა დანარჩენი მათი თანამომქმე ტომებიც ძველი ხალხია. მათ შე-სახებ ცნობანი მოიპოვება ასურულ წარწერებში, დაბადებაში (ბიბლია) და ძველ ბერძნულ სხვა-და-სხვა ისტორიულსა და გეოგრაფიულ თხზულებაში. ამ ტომთა და მათ ენათა აღსანი-შნავად ამ ბორლო დროს აკადემიკოსმა ნ. ი. მარმა შემოიღო ტერმინი: „იაფეტური“ („იაფეტური ხალხი“ და „იაფეტური ენები“). ეს ტერმინი დაბადებიდანაა აძლევბული იმ საფუ-ძვლით, რომ დაბადების I წიგნის მე-X თავში მოხსენებული „ტუბალი“ (თობალი) და „მოსოხი“ (მეშხი) ნოეს შვილის იაფეტის შთამომავლებად ითვლებიან, ხოლო „ტუბალი“ (ასუ-რულ წარწერების „ტაბალი“, ბერძნების ისტორიკოსების „ტი-ბარენი“) უდრის შემდეგ დროის „იბერ-ს, ანუ „ივერს“, „მო-სოხი“-კი „მესს“-ს. თავდაპირველი იბერები (ივერები) დასავ-ლეთ საქართველოს მკვიდრთ აღნიშნავდნენ, რომელთა უმეტე-სობას მაშინ ჭან-მეგრელები შეადგენდნენ, ხოლო შემდეგ „ივე-რი“, „ივერია“ გადაიქცა ქართველ ერის ცველა შემადგენელ ტომთა და მათი მიწა-წყლის აღსანიშნავ სახელწოდებათ, სწორედ ისე, როგორც უფრო გვიან აღმოსავლეთ საქართველოს და ქართველების სახელებს „კარლუ“-ს და „კარლუხი“-ს (ქართუ, ქართველი) მიეცა ფართო მნიშვნელობა მთელ საქართველოს აღსანიშნავად.

კერძოდ სახელწოდება „ჭანი“ · (სომხურად „ჭეხნ“, „ჭა-ნივ“) წარმომდგარია დაბადებისავე „კაენ“ · ისაგან (კახნ). აქ საბუთად გამოვვადგება საზოგადოდ იაფეტურ ენებში და კე-რძოდ ჭანურში არსებული ბერძნია შეცვლის ერთი კანონი (ფონეტიკური კანონი). ამ კანონით ბერძნი „ჭ“ და „კ“



ერთმანეთში ნაცვალბადობენ; მაგ. „კახი“ ჭანურად ნიშნულული ბეჭურას“, ხოლო ჭანეთის ზოგიერთ ადგილებში იგი-ვე სიტყვა გამოითქმის, როგორც „ჭახი“; „კოხა“ ნიშნავს „უმწიფარს“, „მეუცეს“, ზოგინ გამოითქმის „მჭოხა“ (ეს-კანონი ჭართულშიაცაა: „კაკალი“=„კპალი“=„კაჭალი“; „დაკაკლული“=„დაკაჭლული“ და სხვ.) ამნაირად ფონეტიკის მხრივ დაბრკოლება არ არის, რომ „ჭანი“ დაბადების „კახი“-ათ აღვიაროთ. გარდა ამისა დაბადება მეორე საბუთსაც გვაძლევს: დაბადების I წიგნის მე-IV თავში თობალ-კაჭნი მოხსენებულია როგორც რკინისა და სპილენძის (რვალის) მჭედელი. და რომ მატოლაც ლითონების დამუშავება დამოუკიდებლად განავითარეს ჭართველმა ტომებმა და შემდეგ ეს ცოლნა სხვა ერებს გადასცეს, ამას თვით ლითონის სახელები ჰმოშმობს: ჭართულში და მის მონათესავე ენებში თითქმის არც ერთი ლითონის სახელი არ არის ნასესხები სხვა ენები-დან, პირიქით, სხვა ენებს აქედან უსესხიათ ლითონთა სახელები, მაგ., ევროპული „ბრონზა“, „სპარსული“, „ბირინჯ“ იგივე ჭართული „სპილენძი“, „სვანური“, „სპილენძ“, „მეგრული“, „ლინჯი“ და სომხური „პლინძ“-ია. „სპილენძი“-კი ჰნიშნავს „სპერის“, ანუ „ისპირის“ ლითონს. ქალაქი „სპერი“ (ისპირი) იმყოფება ჭოროხის სათავეში, რაც აგრედვე ნიშნავს „იბერ-თა“ (პერთა) ქალაქს.

ზემო მოყვანილ ფონეტიკურ კანონით „ჭოროხი“-ს მეორე ფორმა შესაძლოა „კოროხი;“ თუ „რ“-ს „ლ“-სათ შეცვლით, რაც აგრედვე ჩვეულებრივი მოვლენაა იაფეტურ ენებში, მაშინ მივიღებთ „კოლოხს“, აქედან-კი „კოლხს“, ე. ი. ძველად განთქმულ „კოლხისი“-ს (კოლხიდა) სახელს. მაშასადამე ჭანები ძველ-კოლხების ნაშთს წარმოადგენენ და „კოლხისი“ თავდაპირველად იმყოფებოდა არა „ფაზისრიონის“, „არამედ „ფაზის-ჭოროხის“ მიღამოებში. ამ ორ მდინარეს ძველი მწერლები ხშირად ერთმანეთში ურევენ, მით უმეტეს

რომ „კოლხიდა“-ს ჰელისხმობდა ხშირად არა მარტო საკუთარივ კოლხიდას, არამედ მთელ ლევანდელ სამეგრელოსაც და იმერეთის ნაწილსაც შორაპნამდის. ხანდახან-კი პირიქით „სამეგრელო“ პნიშნავდა აგრედვე კოლხ-დასაც და ამისთვის ტრაპიზონი ამ შემთხვევებში სამეგრელოში ირიცხებოდა. ეს გარემოება აიხსნება იმ მიზეზით, რომ კოლხიდა და სამეგრელო ხშირად ერთ სახელმწიფოს შეაღენდნენ.

რაც შექება ჭანეთის და ჭანების მეორე სახელწოდებას „ლაზიკა“-სა და „ლაზ“-ს, ეს სახელწოდება სვანურია და შესდგება წინსართ (პრეფიქსი) „ლა“-საგან, რომელიც სვანურში აღილის აღმნიშვნელია, და სიტყვა „ზან“-ისაგან. „ზან“-ს კი სვანები ეხლაც ეძახიან მეგრელებს და წინად, ალბად, ჭანებსაც. ამნაირად „ლაზიკა“ ნიშნავს ჭან-მეგრელებით დასახლებულ ადგილს და „ლაზი“ (ლაზანი) ლაზიკაში მცხოვრებს. სახელწოდება „ჭანეთი“ და „ჭანი“ უფრო ძველია, ვიდრე „ლაზიკა“ და „ლაზი“.


ჭანების ისტორიულ სვე ბედის დაწვრილებით განხილვას აქ არ შეუდგებით. თუ ვ-ნმე მოისურვებს უფრო დაწვრილებით ჭანების გაცნობას, ურჩევთ მიჰმართონ ქვემოდ ჩამოთვლილ წყაროებს *). აქ, დასასრულ, ვიტყვით, რომ ერთ დროს ჭანებსაც სხვა თანამომე ტომებთან ერთად თავის წვლილი ქართულ ეროვნულ კულტურის საუნჯეში, სხვათა შორის ჭანებმა, როგორც ბიზანტიისათან დაახლოვებულ და მის გავლენის ქვეშ მყოფმა ტომმა, ხელი შეუწყეს დანარჩენ თანა-

*) 1. Н. Марръ. „Крещеніе армянъ, грузинъ, абхазовъ и алановъ св. Григоріемъ“ (Зап. Вост. Отд. Рус Арх. Общ. т. XVI, 1905 г.), 2. ვ. Форз „Грамматика чанского языка,“ С.-Пб. 1910. 3, მისივ „Изв поездки въ Турецкій Лазистанъ“ (Изв. Имп. Ак. Наукъ, 1910 г.). 4, ივ. ჯავახიშვილი, „ქართველ ერის ისტორია,“ ტფილისი 1908 წ. 5, I. Кипшидзе, „Дополнительная свѣдѣнія о чанскомъ языке“ С.-Пб. 1911.

მოძმე ტომების ბიზანტიისთან დაახლოვების. ბიზანტიის წარმოების რევებზე ამალებულმა ოსმალეთმა კარგა ხანია სრულებით მოვაწყვიტა ჭანეთი. სარწმუნოების დაკარგვასთან ერთად, ისინი თანდათან ყოველსავე ეროვნულ თავისებურობას ჰკარგავენ აგერ 3—4 საუკუნეა და ამ თავისებურობის სუსტი ნიშნები დღეს ძლიერ და შეინიშნება. მაგრამ ჯერ კიდევ არ ვკარგავთ იმედს, არა გვჯერა, რომ სულთაბარძოლა უკვე დაიწყო. ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ეროვნული თვითშევნება ყველგან იღვიძებს: ერთის ერთს წარმომადგენელნი ერთმანეთს უახლოვდებიან, ეცნობიან, უკავშირდებიან, სულიერად მაინც, რომელ სახელმწიფოშიაც კი უნდა სკოლებრობდნენ და რა სარწმუნოებასაც უნდა აღიარებდნენ. არც ჩვენ და ლაზებს უნდა შეგვიშალოს ხელი ამ დაახლოვებაში იმ გარემოებამ, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოში ვცხოვრობთ და სხვა და სხვა სარწმუნოებას აღვიარებთ...

საჭიროა დაუღალავი მუშაობა ორივ მხრიდან, მაგრამ რადგან ჩვენ უკეთეს გარემოებაში ვართ, ვიდრე ლაზები, თავდაპირველად ჩვენი ვალია გავაღვიძოთ მათ შორის ეროვნული თვითშევნება, გადაუშალოთ ქართული „წიგნი“, რომ თითონ დაინახონ: რა იყვნენ, რა არიან და საით უნდა წავიდნენ.

ი. ყიფშიძე.





რომ „კოლხიდა“-ს ჰულისხმობდა ხშირად არა მარტო საკუთარივ კოლხიდას, არამედ მთელ ცლევანდელ სამეგრელოსაც და იმერეთის ნაწილსაც შორაპნამდის. ხანდახან-კი პირიქით „სამეგრელო“ ნიშნავდა აგრედვე კოლხ-დასაც და იმისთვის ტრაპიზონი ამ შემთხვევებში სამეგრელოში ირკებოდა. ეს გარემოება აიხსნება იმ მიზეზით, რომ კოლხიდა და სამეგრელო ხშირად ერთ სახელმწიფოს შეადგენდნენ.

რაც შეეხება ჭანეთის და ჭანების მეორე სახელწოდებას „ლაზიკა“-სა და „ლაზ“-ს, ეს სახელწოდება სვანურია და შესდგება წინსართ (პრეფიქსი) „ლა“-საგან, რომელიც სვანურუში აღილის აღმნიშვნელია, და სიტყვა „ზან“-ისაგან. „ზან“-ს კი სვანები ეხლაც ეძახიან მეგრელებს და წინად, ალბად, ჭანებსაც. ამნაირად „ლაზიკა“ ნიშნავს ჭან-მეგრელებით დასახლებულ ადგილს და „ლაზი“ (ლაზანი) ლაზიკაში მცხოვრებს. სახელწოდება „ჭანეთი“ და „ჭანი“ უფრო ძველია, ვიდრე „ლაზიკა“ და „ლაზი“.

ჭანების ისტორიულ სვე ბედის დაწვრილებით განხილვას აქ არ შეუდგებით. თუ ვ-ნმე მოისურვებს უფრო დაწვრილებით ჭანების გაცნობას, ურჩევთ მიჰმართონ ქვემოდ ჩამოთვლილ წყაროებს *). აქ, დასასრულ, ვიტყვით, რომ ერთ დროს ჭანებსაც სხვა თანამოძე ტომებთან ერთად თავის წვლილი ქართულ ეროვნულ კულტურის საუნჯეში, სხვათა შორის ჭანებმა, როგორც ბიზანტიისთან დაახლოვებულ და მის გავლენის ქვეშ მყოფმა ტომმა, ხელი შეუწყეს დანარჩენ თანა-


*) 1, Н. Марръ. „Крещеніе армянъ, грузинъ, абхазовъ и алановъ св. Григоріемъ“ (Зап. Вост. Отд. Рус Арх. Общ. т. XVI, 1905 г.), 2, გ. 673 „Грамматика чанского языка,“ С.-Пб. 1910. 3, მიხეივ „Изъ поездки въ Турецкій Лазистанъ“ (Изв. Имп. Ак. Наукъ, 1910 г.). 4, ფ. ჯავახიშვილი, „ქართველ ერის ისტორია 1908 წ. 5, I. Кипшидзе, „Дополнительный свѣдѣнія о чанскомъ языке“ С.-Пб. 1911.



მოძმე ტომების ბიზანტიისთან დაახლოვებას. ბიზანტიის ცანკაცული რევებზე ამაღლებულმა ოსმალეთმა კარგა ხანია სრულებით მოვაწყვიტა ჭანეთი. სარწმუნოების დაკარგვისთან ერთად, ისინი თანდათან ყოველსავე ეროვნულ თავისებურობას ჰკარგავენ აგრ 3—4 საუკუნეა და ამ თავისებურობის სუსტი ნიშნები დღეს ძლიერ და შეინიშნება. მაგრამ ჯერ კიდევ არ ვკარგავთ იმედს, არა გვჯერა, რომ სულთაბრძოლა უკვე დაიწყო. ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ეროვნული თვითშეგნება ყველან იღვიძებს: ერთის ერთს წარმომადგენელნი ერთმანეთს უახლოვდებიან, ეცნობიან, უკავშირდებიან, სულიერად მაინც, რომელ სახელმწიფოშიც-კი უნდა სცხოვრობდნენ და რა სარწმუნოებასაც უნდა აღიარებდნენ. არც ჩვენ და ლაზებს უნდა შეგვიშალოს ხელი ამ დაახლოვებაში იმ გარემოებამ, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოში ვცხოვრობთ და სხვა და სხვა სარწმუნოებას აღვიარებთ...

საჭიროა დაუდალავი მუშაობა ორივ მხრიდან, მაგრამ რადგან ჩვენ უკეთეს გარემოებაში ვართ, ვიდრე ლაზები, თავდაპირველად ჩვენი ვალია გავალვიძოთ მათ შორის ეროვნული თვითშეგნება, გადაუშალოთ ქართული „წიგნი“, რომ თითონ დაინახონ: რა იყვნენ, რა არიან და საით უნდა წავიდნენ.

ი. ყიფშიძე.



ლაზური ზღაპრეგი.

I

ჩვენ ამ წუთი-ხოფლის სტუმრები ვართ და ერთმანეთს რისთვის უნდა ვაწყენინოთ? ერთი ამას მოუსმინეთ, რა არ გადაშედია თავს! ერთ დროს-კი ესეც ჩვენსავით ადამიანი იყო.



მ ქვეყანას ერთი კაცი სცხოვრობდა. ას წელიწადზე მეტი ჯან-საღად გაატარა და შემდეგ გარდაიცვალა. მისი სხეული მიწად იქცა. ამ ადგილს კრამიტის საჭრელი ქარხანა გამართეს და კრამიტის ჭრას მიჰყვეს ხელი. ერთი კრამიტი ამ კაცის მიწადქცეულ სხეულიდან გაკეთდა. შემდეგ ეს კრამიტი ერთს სახლს დაჰხურეს. ორასმა წელმა განვლო. კრამიტი სახურავიდან გადმოვარდა და ისევ მიწად იქცა. ახლა სხვა კაცმა ამ კრამიტის მიწისაგან ერთი ქოთანი გააკეთა. ქოთანში ასის წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა საჭამალს ჰქონდა; შემდეგ გატყდა, —აიღეს და გადააგდეს. . ისევ მიწად იქცა. ახლა მეაგურე მოვიდა ამ ადგილას და ამ მიწიდან აგური გააკეთა. ერთი კაცი სახლს აშენებდა; ეს აგურიც წაიღო სხვათა შორის და სახლის ერთ კუთხეში დაატანა. სახლის პატრონი გარდაიცვალა და ორი ვაჟი დარჩა. ვაჟებმა საცხოვრებლის გაყოფას ხელი მიჰყვეს, ყველაფერი ვაიკვეს; სახლი დარჩათ გაუყოფელი. ერთმა სთქვა:

— სახლი ჩემი უნდა იყოს.

მეორემა სთქვა: — არა ჩემი უნდა იყოს. საქმე გამწვავდა, ძმები წაიკიდნენ და ერთმანეთს ჰკლავდნენ. ამ დროს სახლის ერთ კუთხიდან ხმა მოესმათ:

— არ მოკლათ ერთმანეთი! რად გინდათ ეს სახლი ქვეყნიური სიმღიდოს სიუყვარული რათა გაქვთ და იმისთვის ძმები ერთმანეთს რათა ჰკლავთ?

ძმები შიშის კანკალმა აიტანა და ჩხუბს თავი დაანებეს.


— შენ ვინა ხარ? — ჰკითხეს ძმებმა ამ უცნაურ მამხილე-ბელს.

— მეც თქვენისთანა კაცი ვიყავი და ახლა აგური ვარ; თქვენც ჩემისთანა ბელი მოგელით, — უპასუხა აგურმა და რაც თავს გადაჰქედოდა, უოველივე უამბო ძმებს.

ძმებმა ჩხუბზე ხელი იღეს და შეურიგდნენ ერთმანეთს.

ი. უიფშიძე.





ზღვის სიგდინე.

(შემდგა).




უნძული ცეილონი მცენარეულობით ძალიან მდიდარია, მაგრამ დასავლეთის ნაპირები, საღაც ზღვაში ბევრი მარგალიტის ნიჟარებია, სრულ უდაბნოს წარმოადგენს. ნიაღაგი იქ მშრალი, ქვიშიანი და უნაყოფოა; იქ თითქმის არაფერი არ ხარობს. ზაფხულობით მაინც ყველაფერი მზისაგან გადაბუღლია. საშინელი სიცხე და პაპანაქებაა; არ არის ჩრდილი, არც. ნიავი, რომ ცოტათი მაინც გაუგრილოს ადამიანს გასურებული გული; იქ თითქმის მთელი წელიწადი არავინ ვაკანებს. მაგრამ, აი, დგება დრო მარგალიტის ჭერისა და უდაბნო მხარე უცემ ცოტა ხნით ისე გამოცოცხლდება, რომ ვე-

ლარ იცნობთ. ყოველ კუთხიდან მოდიან აქ მარგალიცაში მოხდის ძიებელნი: ვაჭრები, ნავების პატრონები, მუშები, მთავრობის მოხელენი—თვალ ყურის სადევნებლად, სალდათები—ქონების დასაცავად. უდაბნო ნაპირებზედ სწრაფად გააშენებენ რიგზედ ჩამწკრივებულ ქოხებს. მეწვრილმანეები სსნიან თავიანთ საწვრილმანოს; თვალთმაქცები, მოცუკვავები ჰმართავენ წარმო-დგენებს მდიდარ ვაჭრებისა და ნავთ-პატრონების გასართობად. ნაპირებზედ ხალხი მოძრაობს, სიცოცხლე სრულს და გადმო-დის. დანიშნულ დღეს დილიდან უ 200 ნავიმდის გადის ზღვა-ში. მარგალიტის ნიუარები ზღვაში ბუდობენ ნაპირებიდან რა-მდენსამე ვერსზედ. თვითოვეულ ნავში ჩვეულებრივ იმყოფები-ან: პატრონი ნავისა, რამდენიმე მენიჩე და ათი მჭერავ-მყვინ-თავი. ერთ ერთს ნავში სხედან მოხელენი, რომელნიც კერას თვალ-ყურს ადევნებენ.

როდესაც ყველა ნავები მოეწყობიან, მთავრობის ნავი-დან ანიშნებენ და ნაგები ისრებივით სრიალდებიან ადგილე-ბის დასაჭერად. მერე იწყება მუშაობა. ნავიდან უშვებენ ზღვა-ში თოკს, რომელზედაც გამობრულია მძიმე ქვა და ბადე. მჭე-რავი, თითქმის მთლად ტიტველი, ცალის ფეხით შესდგება ქვაზედ, ცალ ხელს მაგრად მოსჭიდებს თოკს და ეშვება ზღვა-ში. ძირში მჭერავი ჩამოდის ქვიდან, ხელით-კი მაგრა უჭირავს თოკი, მეორე ხელით სცდილობს რაც შეიძლება მეტი ნიუა-რები მოპერივოს და ჩასდოს ბადეში. როდესაც მჭერავი იგ-რჩნობს, რომ მეტი აღარ შეუძლია გასძლოს უჭაროდ, მა-გრად გაანძრევს თოკს, რომელსაც მაშინვე ზევით ასწევენ. თვითონ-კი თოკს ხელს უშვებს, ორივე ხელებს ტანზე მიიღებს და წყალი თვითონ ამოაგდებს ზევით. ამოპყოფს თუ არა თავს, აქ რამდენსამე წუთს მძიმედ სუნთქვას, ისვენებს და მერე ისევ ეშვება ძირს. ასე ეწევა მჭერავი თავის მძიმე ულელს მთელ დღეს.

თვითოვეული მჭერავი ჩადის ზღვის ძირის ერთის დღის

განმავლობაში 40—50-ჯერ. ბოლოს დგება ღრი შინ დაზიანებული ნებისა. მთავრობის ნავიდან ზარბაზნის სროლა მოისმის. ეს იმის ნიშანია, რომ მუშაობა გათავდა და ყველა ნავი ნაშო-



მარგალიტის ნიჟარების ჟერა.

ვარით ბრუნდება ნაპირზედ, სადაც ხალხი მოუთმენლად მოე-
ლის და დიდის ხმაურობა-ლრიან ცელით ეგებება. მთელი ხა-

შოვარი იყოფება რამდენსამე ნაწილად: ერთიანი მარტივი ეძლევა მცერავებს, როგორც ქირა, მეორე ნაწილი — მთავრობის მოხელეებს, როგორც ხარკი, დანარჩენს პატრონი ჰყილის. ეს გაყოფა-გაყიდვა ნამდვილი ბეღის ცდაა. ნიუარები იყოფა და იყიდება დაფარულ-გადაუხსელი: არავინ იცის, იპოვნის თუ არა თავის ხეედრს ნიუარაშ, მარგალიტს. უკვე იცით, რომ მანგალიტი იშვიათად აღმოჩნდება ხოლმე: რამდენსამე ათეულ და ხან რამდენსამე ასეულ ნიუარაზედ მოდის მხოლოდ ერთი მარგალიტიანი. შეიძლება იყიდოთ აუარებელი ნიუარები და არც ერთში არ აღმოჩნდეს მარგალიტი; მაგრამ შეიძლება იყიდოთ ნახევარ ფასად რამდენიმე ნიუარა და



მარგალიტის ნიუარები. მარგალიტის ნიუარა მარცხნივ ცოტა-თი გახსნილია, იმაში მოსჩანს მარგალიტი. (1—8) — სხვა-და-სხვა ფორმის მარგალიტები.

ერთში-კი აღმოჩნდეს. ისეთი მარგალიტი, რომელიც ღარიბ კაცს უცებ გაამდიდრებს. ძალიან მსხვილი და კარგის ფერის მარგალიტი ზოგჯერ ღირს რამდენსამე ასი ათას მანეთად. პატარა მარგალიტები გაცილებით იაფია: ერთი ლოტი წვრილის მარგალიტისა ღირს 60 მანეთი და ერთი ლოტი კიდევ

უფრო წვრილისა — 5 მანეთი. მარგალიტის ნიუარა რომ შარ-ტო მარგალიტს იძლეოდეს, მაშინ იმისი ჭერა არ იქნებოდა სახეირო საქმე. მაშინ უმეტესი ნაწილი დანაკურისა, რომელ-შიაც მარგალიტი არ აღმოჩნდებოდა, უნდა გადაეყდოთ. მა-გრამ თვით ნიუარაც სასარგებლობა და იყიდება, იმიტომ რომ შიგ სადაფია. ერთი გირვანქა კარგის ნიუარისა ლირს 60 კაპ. ნიუარა გარშემო უფრო თხელია. ამ თხელ ნაწილებიდან აკე-თებენ ფოლაქებს და სხვა პატარა ნივთებს; შეუაგული ნაწილი კი სქელია და კარგის თვისებისა; ამ ნაწილიდან აკეთებენ უფრო ძვირფასს და დიდ ნივთებს.

გაუყიდავ ნიუარებს აგროვებენ ცალკე საწყობში, რო-მელსაც მაღალი კედლები აქვს შემოვლებული და იატაკი ცალ-მხარეს დახრილი. იატაკზედ რამდენიმე ღარია და წყალი მუდამ მოდის. ლორწოიანი ცხოველები მაღა იხოცებიან და ლპებიან. როდესაც ცხოველი კვდება, ნიუარა თავის თავად იხსნება და წყალი ჩამორეცხს მარგალიტებს. წყალს ღარებში მიაქვს მარგალატი, მაგრამ ქვემოდ განსაკუთრებული ბადეებია გაბმული და მარგალიტი აქა რჩება ამ დროს პატი გაუღენ-თილია სიმყრა უთ. ეს მყრალი პატი და სიცხე ცუდად მო-ქმედობს ადამიანის ჯანმრთელობაზედ და ვრცელდება სხვა-და-სხვა ივადმყოფობა.

ამ დროს მარგალიტის მაშიებელი სტოვებენ ამ მიღა-მოებს და მიღიან; არე მარე ისევ ყრუვდება, შხოლოდ საწყა-ლი სალდათები რჩებიან აქ მცველებად და უნდა დარჩნენ ამ დრომდე, ვიდრე უკანასკნელი ლოფორთვინაც არ დალპება. ბოლოს ისინიც სტოვებენ კუნძულს და იქაურობა მთლად უდაბნოვდება. რამდენი უსაზღვრო შრომა, დაბრკოლება, რა-მდენი ავადმყოფობა და ბოროტ-მოქმედება მოაქვს ამ წარმოე-ბას, და ეს ყოველივე იმიტომ, რომ იშოვნონ ძვირფასი და მშვენიერი სამკაული.

მარგალიტის ნიუარას გარდა, მარგალიტს ამზადებენ ზორ-



გერთი სხვა ლორწოიანი ცხოველებიც. ზოგჯერ ჩვენი უფრო გამჭვირებული ნარის ლოფორთქინებიც ამზადებენ მარგალიტს. ამიტომ ამათაც მარგალიტის ნიჟარებს ეძახიან.

მაგრამ იმათში მარგალიტი კიდევ უფრო იშვიათია და თანაც დაბალის ხარისხისა. ჩრდილოეთ და დასავლეთ რუსეთში მცხოვრებლები მდინარეებში იკერენ მარგალიტს, მაგრამ ეს მრეწველობა აქ არის გავრცელებული და სრულებით არა ჰგავს იმ მრეწველობას, რომელიც აზის ნაპირებზედ სწარმოებს.

რა არის მარჯანი და როგორ შოულობენ.


უკვე გაიგეთ, რა არის მარგალიტი და სადაფი, როგორ ჩნდებიან და სად შოულობენ. ვნახოთ ახლა, რა არის მარჯანი, ის მარჯანი, რომლისასაც ამზადებენ მშვენიერ წითელ მძივებს, ყელსაბმელებს და სხვა. დაუმუშავებელი მარჯანი წარმოადგენს პატარა წითელ შტოებს; ამ შტოებიდან სოლიან მძივებს და სხვა ნივთებს. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს ხის შტოებიათ. რომ შეგეძლოთ დანახვა, როგორ იზრდება ზღვის ძირის მარჯანი, უსათუოდ იფიქრებდით, რომ ეს ზღვის მცენარეათ. ზღვაში რომელსამე გადმოწოლილ კლდის ჭვეშ მიმაგრებულ ჭატარა შტოიანი წითელი ხე სიმაღლით $\frac{1}{2}$ არშინამდის. შიგნით ეს ხე მაგარია; გარედან-კი რბილი და წითელი კანი აქვს შემოკრული; კანზედ აქა-იქ სხედან პატარა თეთრი ვარსკვლავები. აი ნამდვილი მცენარე; ხე წითელის ღეროთი, შტოებით და თეთრის ყავილებით!

მაგრამ დააცემერდით ერთ ერთ ამ ყვავილთაგანს. აი მისცურავს მასთან რომელიმე პატარა ცხოველი; ვარსკვლავი სწრაფად გაიშვერს თავის სხივებს, მოიტაცებს პატარა ცხოველს და გააქანებს პირში, რომელიც მოსიანს ნაჩრეტივით ვარსკვლავის შუა გულში. სჩანს თვითეული თეთრი ყვავილი, ვარსკვლავი, პატარა ცხოველი ყოფილა. იმის სხეულის

აგებულება ძალიან მარტივია: მთელი სხეული ჰგავს ჟარული ჭიქას, პირის გარშემო ჩამწკრივებულია რვა რბილი და მოძრავი საწერტელა; პირიდან ქვეით სხეულში მიღის მიღია და ქვემო ნაწილი ამ მოღისა ჩაღის კუჭში. ამ პატარა ცხოველებს ეძახიან მარჯნის პოლო-პებს (სიპინებს). პოლოპს შეუძლია გამოშვერილი საწერტე-ლები მოკუმშოს სხეულონ ერთად და მაშინ რგვალდება ბურთივით. მაგრამ როგორც-კი მიუახლოვდება რომელიმე პატარა ცხოველი მარჯნს, პოლიპი მაშანვე სწრაფად გაიშვერს საწერტლებს და მსხვერპლს ჩაბლუჯავს. დაკერილი ცხოველი გაღადის პირში, შემდეგ მიღმი და კუჭში. ამ ნაირად იკვებება პოლიპი. სიპინი ჩამჯდარია რბილ წითელ კანში,



მარჯანი.



მარჯანის პოლიპი.

რომელიც გარედ აკრავს მარჯანს და არ შეუძლია მოშორდეს ამ ალავს. შეუძლია მხოლოდ მოკუმშოს და ისევ გაიშალოს. ხესავით შტოებიან მარჯანზედ ბევრი პოლიპი სცხოვრობს და ყველა გადაბმულია ერთმანეთზედ წითელ კანის შემწეობით. სჩანს მარჯნის ხე, ეს მოელი მოსახლეობაა პოლიპებისა. წითელ და რბილ კანში

მიღია ერთმანეთზე გადახლართული; ამ მიღებთან შეერთებულია ყველა პოლიპი. ამიტომ, როდესაც დაჭერილი მსხვერპლი რომელსამე პოლიპის კუჭში მოსამზადებელ წვნად გარ-

დაიქმნება, ეს წვენი მიღების საშვალებით თანაბრად გადატყობისას სხვა პოლიპებშიც. როგორც ჰქედავთ, პოლიპები ერთმანეთს ჰკვებავენ. ამ ნაირად მთელი მარჯნის ხე წარმოადგენს პოლიპების კავშირს და ეს მოკავშირენი ნაშოვარ საზრდოს ძმურად იყოფენ. როგორც ვამბობდით, მარჯნის ხე შიგნით მაგარია და გარედ აკრავს რბილი და წითელი კანი. ეს შიგნითა მაგარი ნაწილი ხისა შესდგება კირისაგან, როგორც



მარცხნით, მაღლა არის შუაზე გაჭრილი მარჯნის შტო.
მარჯვნით მარჯნის ხე.


მარგალიტი და სადაფი. მხოლოდ წითელ მარჯანს ეს კირი წითლად აქვს შეღებილი ეს მაგარი ნაწილი მარჯნის ხისა არის ცხოველების ჩონჩხი, მსგავსი იმ ძვლების ჩონჩხისა, რომელიც ჩვენს სხეულშია. ჩვენი ძვლებიც კირისაგან შესდგება.

ତ୍ରୈତୀଯୁଦ୍ଧରେ କୋଲିକି ଉତ୍ସବରେ ତାଙ୍କିର ସେୟାଲିଫାର୍ମର୍କ କୁରିବିଶାବନ୍ ଥେବାରେ ମାର୍ଜନିକା ମାଗାରୀ ନାହିଁଲେବୁ. କୋଲିକିରେ କୁରିବିଶାବନ୍ ଥେବାରେ ମାର୍ଜନିକା ମାଗାରୀ ନାହିଁଲେବୁ.

୬. ଚିତ୍ରିତ୍ତବାଦୀ.

(ପ୍ରମଦ୍ଦିତ ପରିବାର).





ტროადის ომი.

პატრიკლოსი და პილოსელი ნესტორი.



როდელების მეომრები თან და თან გარს უც-
ლიდნენ ელლინთა გემებსა და მზად იყვნენ
ცეცხლის აღში გაეხვიათ მთელი მხედრობა.
მთავარსარდლის ავამებნონის სასოწარკვეთილე-
ბას საზღვარი არა ჰქონდა. რაზმების სარდლე-
ბი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ამნევებდნენ მეომრებს,
მაგრამ გააფთრებულ მტერს იერიში იერიშედ მოჰქონდა და
ელლინთა მდგომარეობას საშიშროებაში აგდებდა. ტრიადე-
ლების შეუბრალებელმა მახვილმა აქეველთა მრავალი მეომარი
გამოასალმა წუთისოფელს, მრავალი მათგანი მძიმედ დაიჭრა.
წარჩინებულნი სარდალნიც სისხლით იწურებოდნენ და უკა-
ნასკნელის სულის ამოსუნთქვამდის მახვილს მაინც ხელიდან
არ უშვებდნენ.

მოხუცმა ნესტორმა ბრძოლის ველიდან თავის სამხედრო
კარავში გადაიყვნა მძიმედ დაჭრილი მხედრობის მკურნალი
თავიდი მახაონი. საბრალოს ჭრილობისაგან სისხლი ნაკადუ-
ლებრ გადმოსჩეუდა. ყოვლად გაბრძნობილმა ხალხის მოკე-
თებ მახაონს მძიმე ჭრილობა წამლებ-შეზავებულს წყლით მოჰბა-
ნა, შემდეგ ავადმყოფს ჭრილობა შეუხვია და რბილ ლოგინში
ჩააწვინა.

ძლევამოსილი აქილევსი თავის გემიდან თვალყურს ადვა-
ნებდა ბრძოლის ველს და გულმტკივნეულობით გასცემროდა

ელლინთა მხედრობის განადგურებას. თუმცა აქილევს მის მით ეცნობოდა, რომ მისი თანამოძმენი ბრძოლის ველზედ ასე უმწეოდ და შეუბრალებლად ესალმებოდნენ წუთისოფელს. აქილევსმა კარგად შეამჩნია, რომ ნესტორს ვიღაც დაჭრილი მიჰყავდა თავის სამხედრო კარავში, მაგრამ ვინ იყო ეს დაჭრილი მეომარი, შორიდან ვერ გამოიცნო. ელლინთა გმირთა გმირმა სთხოვა თავის გულითადს მეგობარს პატროკლოს, წასულიყო ნესტორის სამხედრო კარავში და გაეგო, ვინ იყო ის დაჭრილი მეომარი, რომელსაც გაბრძნობილი და უველას საყვარელი მოხუცი ასეთის მზრუნველობით თავს ევლებოდა. პატროკლოსი დაუყონებლივ გაემართა ნესტორის სამხედრო კარავისაკენ. პილოსელმა მოხუცმა დიდის პატივისცემით მიიღო აქილევსის გულითადი მეგობარი და სიყვარულით შესთავაზა სავარძელი და მიიწვია დასაჯდომად.

— დიდებულო გმირო! — უპასუხა პატროკლოსმა, — დიდად გმადლობ, მაგრამ მე დასასვენებლად არა მცალიან! აქილევსმა წარმომგზავნა შენთან გამეგო, თუ ვინ არის ის დაჭრილი მეომარი, რომელიც შენს სამხედრო კარავში მოასვენე. მე რომ უოტათი დავიგვიანო, დიდად ვაწყენინებ ჩემს მეგობარს აქილევსს, რომელიც მეტად სწუხს ელლინთა გმირების ამოულეტას. მე ახლავე დავბრუნდები და ვამცნობ აქილევსს, რომ დაჭრილი გმირი ელლინთა მხედრობის მთავარი მკურნალი მახაონია!

ტკბილად მოუბარმა და გაბრძნობილმა ნესტორმა ასე უპასუხა აქილევსის გულითადს მეგობარს: — დიდად-პატივცემულო და კეთილშობილო პატროკლო! ნუ თუ დიდებულსა და გმირთა გმირს აქილევსს კიდევ გული შესტკივა ელლინთა მხედრობისათვის?!.. ნუ თუ აქილევსმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა დიდი უბედურება დაატყდა თავს ელლინთა მხედრობას?!.. ვინ იცის, რამდენი სახელოვანი გმირი გამოესალმა წუ-

თისოფელს. რამდენმა მეომარმა განუტევა სული საზოგადო
ბრძოლის ველზედ! ვინ მოსთვლის ყველა იმ უბედურებას,
რომელიც ჩვენს ძლევა-მოსილ მხედრობას თავს დაატყდა; ვინ
იცის, რამდენი მწუხარება განიცადა და კიდევაც განიცდის!
გმირთა გმირი აქილევსი ყველა ჩვენს გაჭირვებას ნათლად ჰხე-
დავს, მაგრამ მაინც თავის ძლევა-მოსილ მირმიდონთა რაზმებს
ნებას არ აძლევს ომში მონაწილეობა მიიღონ და ოდნავ მაინც
შეგვისუბუქონ ისედაც მძიმე და აუტანელი მდგომარეობა!
მენეტიოსის დიდებულო შვილო, ძლევა-მოსილო პატროკლოს!
გაუთვალისწინე ელლადის სახელ-განთქმულ გმირს ჩვენის
მხედრობის უიდურესი გაჭირება, ჩვენის სახერთო სამშობლოს
განსაკლებო, ეგებ გული მოიბრუნოს ჩვენზედ და მონაწილე-
ობა მიიღოს ბრძოლაში. განა კაცი ასე გულგრილად უნდა
უცქეროდეს ჩვენ სახელოვან გმირთა დარბევა-დაწიოკებას!
გახსოვს, დიდებულო პატროკლოს, როგორის სიტყვებით გა-
მოგისტუმრეს შენა და აქილევსი თქვენმა მაშებმა ბრძოლის
ველზედ! მოხუცი პელეასის უკანასკნელი სიტყვები იყო: „შვი-
ლო აქილევს! მუდამ უამს უნდა გახსოვდეს, რომ სახელი და
ლიდება მხოლოდ და მხოლოდ მამაცობითა და ვაჟაცობით
შეგიძლია მოიხვევო! სამშობლოსათვის თავის დადება საუკეთესო
ჯილდოა მეომრისათვის! ამიტომ, საყვარელო აქილევს, მუ-
დამ და ყოველ უამს უნდა გახსოვდეს შენი სამშობლო ქვე-
ყანა და პირველობა მამაცობაში არავის არ უნდა დაუთმო!“
შენ-კი მამაშენმა მენეტიოსმა იმავე გამოთხოვების უამს ანდე-
რძივით გითხრა: „ჩემო საყვარელო შვილო, აქილევსი ძლე-
ვა-მოსილობაში გაცილებით შენზედ მაღლა სდგას, შთამომავ-
ლობითაც შენზედ წარჩინებულია, მაგრამ, რადგან წლოვა-
ნობით შენ უფრო დიდი ხარ, შენი მოვალეობაა ყოველს სა-
ქმეში ხელმძღვანელობა გაუწიო სიტყვით და საქმით, თუ
გსურთ, რომ ბრძოლის ველიდან გამარჯვებული დაბრუნდეთ
და მით სამშობლოს ლირსეული სამსახური გაუწიოთ!“ აი დი-



ଓର୍ବଳାଙ୍ଗି
ଶକ୍ତିମାନଙ୍କ

დებული სიტყვები დიდებულ მამული შვილებისა! თქვენ კი ეს
საგულისხმიერო სიტყვები სულ დაივიწყეთ. თქვენს თვალ-წინ
შეუბრალებელი მტერი ანადგურებს ელლინთა მხედრობას,
წუთისოფელს ასალმებს საუკეთესო გმირებს და თქვენ-კი ამ
დროს თითქმ გულ-გრილად შემოვცერით! დიდებულო პა-
ტროკლოს! ხომ ჰედავთ, რომ ს მშობლო უკიდურეს გან-
საცდელში ჩავარდება, თუ ჩვენი მხედრობა დამარცხდა! ამი-
ტომ, ახლა მაინც სცადე, ეგებ ჩაგონო როგორმე აქილევს
თავის მოვალეობა, ეგებ დიდებულმა გმირმა კვლავ მოიბრუ-
ნოს გული ჩვენზედ და იარაღს ხელი მოჰკიდოს! თუ ვინი-
ცობაა აქილევს ლმერთების მამამთავრის ზევსის წინასწარ-
მეტყველობისა ეშინიან და ამიტომ ბრძოლის ველს გაურბის,
სოხოვე, შეეხვეწე, შენა და შენს მირმიდონელთა მამაც რაზ-
მებს მაინც მისცეს ნება ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისა.
ნეტავ ყოვლად შემძლებელი ზევსი ინებებდეს და ეს ასე მო-
ჰკდებოდეს! ელლინთა მხედრობის საქმე მაშინ, დარწმუნებუ-
ლი ვარ, სულ სხვაფრივ მოეწყობა! მხოლოდ იცი, პატრო-
კლოს, თუ აქილევსმა ნება დაგროოს ომში მონაწილეობის
მიღებისა, ეცადე აქილევსის იარაღით შეიარაღების ნებაც
მიიღო! ძლევა-მოსილ აქილევსის იარაღის დანახვაზედ მტერს
თავს ზარი დაეცემა, ასე ეგონება, თვით აქილევსს მოუბრუ-
ნებია გული და ომში მონაწილეობას იღებსო. ეს გარემოება
ელლინთა მხედრობას მეტად ხელს შეუწყობს, გათამამებული
და თავ-გასული მტერი აწინდებულად ვერ გაკადნიერდება და
იერიშს იერიშზედ ვეღარ მოიტანს ჩვენს ხომალდებზედ! ჩვენს
მეომრებსაც გაბედულობა მიეცემათ და ეგებ ჩვენს საერთო
სამშობლოს სახელი და დიდება კვლავ აღუდგინოთ.


ტებილ-მოუბარი პილოსელ მოხუცის სიტყვები ღრმად
ჩასწვდა გულში მენეტიოსის ძლევა-მოსილ შვილს. პატრო-
კლოსი ამ სიტყვების შემდეგ დაუყოვნებლივ გაეჭურა თავის
გულითად შეგობარ აქილევსთან.

ა. მიქაბერიძე.



ნარევი


 ვლისში პეტერბურგის აერო კლუბმა გამოაცხადა გაჯიბრება ჰაერში მფრინავთა შორის პეტერბურგიდან მოსკოვში გადასაფრენად. პეტერბურგიდან მოსკოვამდის 610 ვერსია. გაჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თორმეტმა კაცმა, და მოსკოვს მხოლოდ; ერთმა მიაღწია, — ვასილიევმა. (იმ ვასილიევმა, რომელიც ამ რამდენსამე თვის წინად განჯიდან ტფილის გადმოფრინდა.) ვასილიევმა გადაფრენას 24 საათი მოახმარა; ფრენით-კი მხოლოდ რვა საათის განმავლობაში იფრინა, დანარჩენი დრო-კი გზაში დასვენებას და აეროპლანის შეკეთებას მოახმარა. დანარჩენებს-კი ვერ გაუღიმა ბეჭმა: ზოგს აეროპლანი გაუფუჭდა; სამი მძიმეთ დაშავდა, რაღანაც აეროპლანი გადაუტრიალდათ და ჩამოცვიუდნენ. ერთიკ ჩამოვარდნისას გარდაიცვალა. ასეთი საშინელი მსხვერპლი გამოიწვია ამ გაჯიბრებამ.



ଅନ୍ତର୍ଜାଲରେ:

- 1) ହିତି ଏକାଳେ ଶ୍ରେଷ୍ଠିତିନା ଓ ତୀରନାଲୋ କୁରୁତ୍ୱବାଲସାମ.
- 2) ଫୁଲିକରିଲା ଓ କୋନକ୍ଷେତ୍ରରେ ଶରନମା କାହିଁ କୈବୁଥିଲେ ଆଖିବାକାରିଲା.
- 3) ମୋକାକାନ୍ତେ କାହାଦି ମାତ୍ରେ ଶ୍ରେଷ୍ଠିତି ଗାୟତ୍ରିମିଳିଲା.

(ପ୍ରକାଶନକାରୀ ଡା. ପାଞ୍ଚବିଜ୍ଞାନୀଙ୍କ ମିଳିଲାମାରେ).



ମଧ୍ୟାମ୍ରତିରି ପାଦରି ପାଦରି
ପାଦରି ପାଦରି ପାଦରି
ପାଦରି ପାଦରି ପାଦରି

